

საქართველოს მთაბე

№ 6

6 დეკემბერი.

კაც რეული საზოგადოებრივი, სამეც. ზ. სალიტ. ჟურნალი

1909 წ.

ჩვენ და ცხოვრება.

ჩ ვ ე ბ

ბევრგვარ ისტორიულ უბედურობასთან. ჩვენთვის, ეკონომიურ ვითარების მხრით, ერთი უბედურობა ისიც იყო, რომ ჩვენს სამშობლოში ეკონომიურ ცხოვრებრს ძირითადი ცვლილება იმ დროს დაიწყო, სრულიად ახალი წესი სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობისა იმ ხანაში დამკვიდრდა, როცა ჩვენ ჯერ კიდევ სრულდებოდა არ ვიყავით მომზადებულნი ამ ცვლილებებისათვის, როცა თვით ჩვენს ეკონომიურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამისათვის პირობები და ნიადაგი არ იყო შემუშავებული. ახალს მოქალაქობრივ ცხოვრებას, რომელიც გარეშე ქვეყნებისა და ხალხთა მატერიალურ კულტურის გავლენით შემოიჭრა ჩვენში, ჩვენ დავხვდით ისეთი ზნე-ჩვეულებითა, გონებრივის შემეცნებითა და სულიერის განწყობილებით, რომელიც მხოლოდ ძველს ცხოვრებას შეეფერებოდა, ხოლო ახალს სრულდებით არ ეწყობოდა და არ ეგუებოდა. ამიტომაც ჩვენ თავიდანვე ვერ შევისისხლხორცეთ ახალი დროის რთული სამეურნეო საქმიანობის აზრი და მოთხოვნილება.

ეს უკანასკნელი ითხოვდა ჩვენ ძველ საეკონომიო ზნე-ჩვეულების ძირიანად შეცვლას, გარდაქმნას, აღებმცემობის კანონებთან შეწყობასა და შეთანხმებას. მაგრამ ასეთი გარდაქმნა ადამიანის თუ ხალხის ბუნებისა ადვილი საქმე არ არის, — იგი წელნელა ხდება და ამას დიდი დროც ესაჭიროება. თანამედროვე ცხოვრება კი საშუალო საუკუნეების დროინდელსავით მდორე და უძრავი აღარ არის, — იგი შეუჩერებელი წინ მიდის და ყურს არ უდგებს, თუ ვინმე უკან რჩება და მას თან ვერ მიჰყვება. ამ ცხოვრებაში ნიადაგის მოპოვება და მკვიდრად ფეხის მოკიდება მხოლოდ იმ ადამიანსა და ხალხს შეუძლიან, რომელიც თვით ამ ცხოვრების დიდი შვილად გარდაქმნილა, მისი შინაგანი აზრი, მოთხოვნილება და საქმიანობა შეუგნია და შეუთვისებია; ჩვენ კი, ქართველებს, ეს ჯერაც ვერ მოგვიხერხებია და ამის გამო თანამედროვე ცხოვრებისაგან დღესაც გამოთიშულნი და გა-

შინაპირი: ჩვენ და ცხოვრება, — შ. გოგიანიშვილი; ჩემო სიცოცხლე! ლექსი. — ი. გრიშაშვილი; დამისიმღერა ლექსი, — შ. ამირაჯიბისა; შინაური მიმოხილვა; (წ. ვაბუნიან-ცაგარლის იუბილეს გამო) ლექსი — თ. რაზიან-შვილი; ცხოვრება და ხელოვნება — კიტა აბაშიძისა; მთის არწივი შამილი — ბ. შარვაშიანი; ყვავილი, ლექსი — ბ. ტაბიძისა; უცნაური წინააღმდეგობა — ი. გოგიანიშვილი; მეღვინეობისა და მევენახეობის კოლპერაციები — ს. მანუჩარიანი;

მორიყულნი ვართ. ვერ მოგვიხერხებია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ ბუნების გარდაქმნა, აზრ-შეხედულების შეცვლა, ხასიათისა და ტემპერამენტის გადასხვაფერება თავის თავად ძნელი საქმეა, და მეორე კიდევ იმიტომ, რომ ამ ცვლილების საქმიანობა, თანამედროვე რეალურ ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეგუების აუცილებლობა ჩვენ ჯერ გონებრივადაც არ გვაქვს შეგნებული და ქვეშაობითად მიჩნეული.

რაში გამოიხატება ის „ქართული“ ბუნება, აზრი-შეხედულება, ზნე-ჩვეულება, ხასიათი და ტემპერამენტი, რომელიც თანამედროვე ცხოვრებასთან შეწყობა. შეგუების საქმეში ხელს გვიშლის და გვაბრკოლებსო, — იკითხავს მკითხველი. ამის მაჩვენებელი კერძო ფაქტები აუარებელია ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ იმათი ცალ-ცალკე აღნუსხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებლად აღნიშვნა საგნის გარკვევაში ბევრს არას გამოგვადგება. საქიროა თვით იმ მთავარ წყაროების აღმოჩენა, რომლებიც დასაბამია ყველა იმ კერძო ფაქტებისა და მაშინ ამ ფაქტების უკლებლად ჩამოთვლაც საქიროა აღარ იქნება, რადგან ამას ყველა დაინახავს და აღმოაჩენს თვისსა და სხვის ცხოვრებაშიაც.

ჩვენის აზრით, ჩვენი ეკონომიურ დაბრკოლების წყაროები ოთხ უმთავრეს დარგად შეიძლება დავანაწილოთ. ეს არის: 1) დროს ჩამორჩენილი საეკონომიო აზროვნება ქართველობისა, 2) „აზნაურული“ პსიხიკა, 3) პატრიარხალურ ჩვეულებათა ნაშთი და 4) სუსტი ინდივიდუალობა. თუ აქ ჩამოთვლილ თვისებების მიხედვით დააკვირდებით ჩვენს სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობას, მგონია, დამეთანხმებით, რომ სწორედ აქ მარხია ჩვენი მთავარი დაბრკოლება და რომ ქართველობის ამ ინდივიდუალურ თვისებებს ეჭირვება განსაკუთრებული ყურადღება და დროის შესაფერი მკურნალობა.

განა ვინმეს შეუძლიან სთქვას, რომ ჩვენი აზროვნება საეკონომიო საქმეებში შეეფერება ახლანდელ დროის აზრსა და მოთხოვნილებას? არა მგონია. ქართველის სამეურნეო აზროვნება უფრო საშუალო საუკუნეების წყობილებასთან არის შეთანხმებული, ვიდრე ახლანდელ აღებმცემობისა და



კაპიტალისტურ ანგარიშობის ხანასთან. ძველს დროში, რომელმაც ახლანდელსავით შერმისის საეკონომიო დარდი და ზრუნვა არ იცოდა, ყოველ გვარ მოძრავ ქონების დანიშნულება ის იყო, რომ უნდა დახარჯულიყო, პატრონის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოხმარებულიყო. როგორც გლეხი, ისე მემამულე მიწის მოსავალს უცქიროდა დასახარჯად და არა შესანახად, ხმარობდა მას თავის სარჩოდ და არა აღებმიცემობის საშუალებად. არც ნაწარმოები და არც ფული მაშინ არ შეადგენდა აღებმიცემობის არც საგანს, არც საშუალებას. ერთიც და მეორეც საღსარი იყო მარტოდენ პირად ან ოჯახურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად,—ჭამა-სმისა და ჩაცმა-დახურვის საჭიროების გასაძლოად, გადასახადის გასატუმრებლად. ერთი წლის მოსავალი მეორე წლამდის უნდა კმარებულიყო და ამიტომაც მთელი იმ დროინდელი სამეურნეო ზრუნვა და ფიქრი ერთი წლის იქით აღარ მიდიოდა.

დღეს კი ის ძველი წყობილება და საეკონომიო ურთიერთობა ძირიანად შეცვლილი არის, მაგრამ ჩვენ მაინც ის ძველებური აზროვნება გვაქვს შენარჩუნებული. დღესაც ქართველის წარმოდგენით ქონების დანიშნულება ის არის, რომ დაიხარჯოს, „შეიჭამოს“, ადამიანს პირადი მოთხოვნილება დაუკმაყოფილოს. ამიტომაც ქართველი ფულს უცქერის არა როგორც კაპიტალს, არა როგორც აღებმიცემობის საშუალებას და ქონების გაზრდა-გადიდების საღსარს, არამედ როგორც დასახარჯ ქონებას, როგორც პირად საჭიროებისათვის შესაფერ ნაწარმოების მომცემ ღირებულებას. თანამედროვე საქმის კაცისთვის აღებმიცემობა—ასე ვთქვათ—ერთგვარი ქურაა, რომელშიაც იგი სდებს ერთ აბაზს იმ მიზნითა და განზრახვით, რომ ორი აბაზი ან ექვსი შაური მაინც გამოიღოს ამ ქურის მეორე მხარედან. საქმის კაცის ხელში ფული „ბარტყობს“, „იჩეკება“, იზრდება. ქართველის ჯიბიდან კი ფული იმიტომ ამოდის, რომ თავის დღეში იქ აღარ დაბრუნდეს ნაბარტყი და მომატებული. რათა? იმიტომ, რომ ქართველისთვის ფულს მარტოდენ პირადი მოხმარების დანიშნულება აქვს. აღებმიცემობის ადამიანისთვის ფული იარაღია წარმოებაში დასატრიალებლად; ქართველისთვის კი იგივე ფული საქონელში მისაცემი ფასია თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. პირველს თავისთვის დასახარჯავად მიაჩნია მხოლოდ ნაწილი წმინდა შემოსავლისა, მეორისთვის კი მთელს შემოსავალსა და ხშირად მთელს ქონებასაც მხოლოდ დახარჯვის დანიშნულება აქვს. პირველისთვის ფული და აღებმიცემობა განუყრელი ცნებაა, მეორის წარმოდგენაში კი ფულთან მარტოდენ მოსახმარად საჭირო ნაწარმოების ყიდვა არის შეკავშირებული. პირველისთვის ფულს თავის თავად ისეთი-

ვე ღირებულება აქვს, როგორც ყოველგვარ სავაქრო საქონელს, როგორც, მაგალითად, შაქარს ან ხიზილალას; ქართველს კი მანეთის შაქარს აბაზი ურჩევნია, თუ შინ შაქარი სახარჯოდ კიდევ მოიპოვება. პირველი მუდამ იმის ცდაშია, რომ წმინდა შემოსავლიდან დიდი ნაწილი გადაანარჩუნოს აღებმიცემობისა და, მაშასადამე, საბოლოოდ შემოსავლის უფრო გასადიდებლად. და ამ მის მისწრაფებას საზღვარი არა აქვს, ამ მისწრაფებით არის იგი გამსჭვალული მაშინაც, როცა მისი ქონება მილიონობით აღირიცხება; ქართველისთვის კი ყველა ეს გასაკვირია და ხშირად იგი ასე ამბობს მდიდარ კაცზე: „რად უნდა,—იმდენი აქვს, რომ თავის დღეში ვერ მოიკრევაო“, და ვერც იტყვის სხვანაირად, რადგან მას ქონება მართლა „მოსარევად“, შესაქმელად აქვს წარმოდგენილი. ამიტომაც ქართველი თავს ჩინებულად გრძობს, სანამ ქონება სულ მთლად არ გამოლოვია და არსებობა კიდევ შეუძლია. ეს იმის მომასწავებელია, რომ ქონება კიდევ „მორეული“ არაა.

და აბა მითხარით,—განა სრულიად ბუნებრივი მოვლენა არ არის, რომ ამგვარის შეხედულებების ადამიანები ახლანდელ ცხოვრებაში ფეხს ვერ ვიკიდებთ და ნიადაგს ვერ ვიჭერთ?

ასევე აუცილებლად უნდა ვსცნათ ჩვენი ჩამორჩენა თანამედროვე ცხოვრებისაგან, თუ ქართველობის დამახასიათებელ პსიხიკას გავითვალისწინებთ. ქართველობის სულიერი განწყობილება დღესაც კიდევ იმაგვარ თვისების არის, რომ ხელს არ უწყობს ჩვენში სამეურნეო საქმიანობის აღორძინებას. ჩვენს ისტორიაში თავად-აზნაურობას დიდი როლი და მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება ითქვას, ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ჩვენსავით პატრა ერს სადმე ისე განევითარებოდა და განემტკიცებოდა ფეოდალური წესწყობილება, როგორც ეს იყო ჩვენში. თავად-აზნაურობა იყო ხალხის წარჩინებული წოდება არა მარტო უფლებითა და ქონებით, არამედ განათლებით და კულტურითაც. იგი იყო მთელი ხალხისათვის მაგალითი და მისაბაძი ნიმუში როგორც კარგში, ისე ავშიაც. ამიტომაც ჩვენს ხალხში გავრცელებულია არა ერთი და ორი ისეთი აზრი და ჩვეულება, რომელიც არსებითად მარტო თავად-აზნაურობის ისტორიულ მდგომარეობითა და ცხოვრებით არის წარმოშობილი და გამტკიცებული. ამგვარია, სხვათა შორის, ის შეხედულებაც, რომელიც დაბალ ღირსებისად სთვლის საზოგადოდ ფიზიკურ მუშაობას და პრაქტიკულ საქმიანობას. თავად-აზნაურობა, რომელიც ისტორიაში მხედრობას ასრულებდა და მტერთაგან სამშობლოს დაცვის საქმეს განაგებდა, სამეურნეო შრომას სრულიად მოსწყდა, გადაეჩვია და ამის გამო ის აზრი შეეთვისა, რომ მუშაობა და საზოგადოდ „შავი საქმე“ მისი ღირსებისა და სისხლის

შესაფერი მოქმედება არაა. და სწორედ იგივე შეხედულება გადავიდა მთელი ხალხის შემეცნებაშიაც; მშრომელ გლეხობის გონებაშიაც „დიდკაცობა“ და უმუშევრობა თანაბარ ცნებად გადაიქცა და ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი შეიქმნა.

ეს შეხედულება დღესაც ღრმად ზის ქართველის არსებაში, და თუმცა რეალური ნიადაგი დიდი ხანია მოისპოა. სულიერ ბუნებაში შესისხლხორცებული იდეა მინც კიდევ განაგრძობს არსებობას. ფრანგებს უთქვამთ რუსებზე: რუსს რომ ცოტა მოფხიკოთ, უჩქველად თათარი გამოჩნდებაო, ქართველს თუ „მოფხიკოთ“, შეიძლება თათარი არ გამოჩნდეს, მაგრამ აზნაური კი უჩქველად გამოჩნდება. ფიზიკურ გარჯისა და პრაქტიკულ შრომის შესახებ, თუ ჰკითხეთ, ყოველი ქართველის სული ამოგახებთ, რომ ეს მას ღირსეულ საქმედ არ მიაჩნია. ღირსეული საქმე ის არის, რომელსაც „დიდი კაცი“ ადგია, ხოლო მიწის მუშაობა, ხელობა, წარმოება და სხვა ამგვარი „შავი საქმე“ „დაბალ“ ხალხს აქვს ბედისაგან დაკისრებული. ამიტომაც არც ქართველ გლეხს. არც ხელოსანს, არც ვაჭარს არას დროს ფიქრად არ მოუვა, რომ თავის ხელობით იამაყოს და თავისი სამეურნეო საქმიანობა თავის მოქალაქობრივ ღირსების საბუთად წამოაყენოს. საფრანგეთის ვაჭარი სადარბაზო ბარათებსაც კი აწერს, ბურჟუა ვარო. იქაური გლეხი ამაყობს თავის „proprietaire“-ობით (მიწის მესაკუთრეობით), ხოლო ჩვენში ყველა ამ ხალხს თითქო რცხვენთან თავის ხელობის, თითქო ყველა ბოდიშს იხდის: „ნუ დაგვძრახავთ, რომ ბედმა წილად ასეთი მდარე საქმე გვარგუნაო.“

ადვილი გასაგებია, რომ იმ ხალხში, სადაც ასეთ სულიერ ვითარებას ადგილი აქვს, მიწის მუშაობა, ხელობა, ვაჭრობა და მრეწველობა ვერ იქნება მიჩნეული მისწრაფების ღირს ასპარეზად და აკი ვხედავთ, რომ ეს ჩვენში სწორედ ასეა: მთელ ქართველ ახალგაზღვრებს ყოველკენ აქვს პირი მიქცეული, მხოლოდ არას დროს პრაქტიკულ საქმიანობისა და დამოუკიდებელ სამეურნეო მოქმედებისაკენ. ამას არ სთვლიან ღირსეულ საქმედ მშობლები, და არ სწყალობენ შვილებიც.

ამგვარად, როგორც ხედავთ, ჩვენი სულიერი განწყობილებაც არ არის ხელის შემწყობი, წამქეზებელი და სურვილის აღმძვრელი, რომ ჩვენ თანამედროვე ცხოვრებას დაეუახლოვდეთ და მის მოთხოვნილების მიხედვით რთულს სამეურნეო საქმიანობაში ჩაგებათ.

მაგრამ რას ვამბობ,—არა თუ წაქეზება, პირიქით, მთელს ქართველობას, ლოდად გვაწევს ერთი ისეთი ჩვეულება, რომელიც პირდაპირ დამხლუნებელი და შემბოქველია კერძო თაოსნობისა და გამქარწყლებელი მოქმედების აღმძვრელ სამერმისო ზრუნვისა. ეს ის ჩვეულებაა, რომ ყოველ ქა-

რთველს ცხოვრებაში ვილაცის იმედი აქვს. ეს გრძნობაც ძველი დროის გადმოცემულია, როცა პატრიარხალური წყობილება იყო და ერთმანეთის დახმარება (ნადობა, მამითადი, შეწვევა) და სტუმარ-მასპინძლობა დაურღვეველ მოვალეობად ითვლებოდა. მეოცე საუკუნეშიც ქართველებს ეს გრძნობა მოგვყვა. რახან პატარა ხალხი ვართ და თითქმის ყველანი ერთმანეთს პირადად ვიცნობთ, თანაც ჩვენს სამშობლოს ფარგალში ჯერ კიდევ ფიზი გვიდგია—თავს განმარტოებულად და თავის თავის ანაბარად აღარ ვგრძნობთ,—ყველას ნათესავისა, ნაცნობისა ან მეგობრის იმედი გვაქვს. თითოეული ქართველი, რომელიც თავის მერმისზე თვითონ არ ფიქრობს და არ ზრუნავს, იმედად ნათესავსა და მეზობელს იტოვებს და ელის, რომ გაჭირვების დროს, ე. ი. იმ დროს, როცა თავის ქონებას სრულიად „მოგრევა“, „ხელს მოინაცვლებს“, ზოგან საქმელსაც იშოვის და ყოველ შემთხვევაში შიმშილით არ მოკვდება.

ამ ქართულ „იმედიანობას“ ჩვენ ერთ-ერთ მთავარ დამაბრკობებელ მიზეზად ვთვლით ჩვენი ეკონომიურ წარმატებისათვის და ნურავის ნუ ეგონება, რომ ვითომ ამას გადაჭარბებით ვამბობდეთ. მიიხედ-მოიხედეთ გარეშემო და დაინახავთ, რომ ეს „სხვისი შემაცქერლობა“ დღეს ქართველებში „უფლებების“ ძალასაც კი იღებს. აუარებელი მაგალითობია იმისი, რომ ჩვენი „მოიმედენი“ კი აღარ თხოულობენ დახმარებას, არამედ „მოითხოვენ“ თავიანთ უფლებას. ვინც, დიდი ბრძოლის შემდეგ, თავის ქონებას „მოერია“, „მოითხოვს“, რომ სხვამ სარჩო გაუჩინოს; ვინც შვილები გააჩინა, ხოლო მათთვის საღსრის მოპოებაზე ზრუნვა სრულებით გადაივიწყა, „მოითხოვს“, რომ შვილები გაუზარდონ და ღირსეულ კარიერისთვის მოუშალონ; ვინც სასწავლებელში იყო და ცხოვრებაში გამოსადეგი არაფერი უსწავლია, „მოითხოვს“, სამსახური აუჩინონ და დააბინავონ. მალე, ალბად, იმასაც „მოითხოვს“ რომ სახლი აუშენონ და ქირა არ გამოართვან.

და როგორ ჰფიქრობთ?—ის ადამიანი, რომელსაც სხვისი იმედი აქვს და გაჭირვების დროს ხსნას სხვისაგან მოელის, განა ეცდება, თავისი სურვილები ალაგმოს, მერმისზე იზრუნოს და გაჭირვება საკუთარის მუყაითობითა და მომჭირნეობით თვითონ აიშოროს? არა მგონია, რომ ამ კითხვაზე ორგვარი პასუხი შეიძლებაოდეს. და თუ ეს ასეა,—უეჭველია, აღნიშნული ჩვეულებაც თვალსაჩინო დამაბრკობებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ეკონომიურ წინსვლელობისათვის.

მაგრამ ყველა ზემოდ აღნიშნულ მიზეზებს სქარბობს მნიშვნელობით ჩვენი ის საერთო თვისება, რომელიც აქ უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ. ეს არის ქართველ ადამიანის საშინლად სუსტი



პსიხიური ინდივიდუალობა ანუ პიროვნება. ამგვარად ამიანის დამახასიათებელი ის არის, რომ იგი თვის მოქმედებაში ყოველთვის იქითკენ მიიწევს, საითკენაც ნაკლები დაბრკოლება მოელოს. ქართველიც ცხოვრებაში მხოლოდ იმას ექილება, რაც უფრო ადვილი გასაკეთებელია და დიდ ენერჯისა და ხასიათის სიმტკიცეს არ მოითხოვს. მაგალითად, დამოუკიდებლად საქმის წაყვანას ვაჭრობაში მეტი ჭკუა, ენერჯია, თაოსნობა და გამჭრიახობა უნდა, ვიდრე ვაჭართან მეანგარიშედ ყოფნას და სხვისი ხელმძღვანელობით მუშაობას. პირველ შემთხვევაში საჭიროა დიდი მხნეობა, მაგრამ შესაძლებელია დიდი ქონების შექმნაც; მეორე შემთხვევაში კი საკმარისია პასიური მუშაობა, მაგრამ შესაძლებელია მარტოოდენ დღიურ ლუკმის მიღება. ქართველი სწორედ მეორე საქმეს აირჩევს, რადგან ამას ნაკლები „თავის მტვრევა“ ესაჭიროება. ახალგაზდა ინჟინერი ლათინურ გრამატიკის მა-

სწავლებლობას ხელს მოჰკიდებს, ხოლო დამოუკიდებელ საქმეზე, თუ გინდ—ვთქვათ—რაიმე სატენიკო კანტორის დაარსებაზე, არც იფიქრებს, რადგან ეს საქმე დიდს პრაქტიკულ გამჭრიახობას მოითხოვს, პირველს კი ყოველად უნიჭო და გონება-დაჩლუნგებული ადამიანიც შეასრულებს. ქართველი მემამულეც ამავე მიზეზის გამო მამაპაპეულ მამულის მოვლას ქარის ანაბრად დასტოვებს და თვითონ სადმე კანცელარიაში, თუ კი მისცეს, გადამწერლის სამსახურს იკისრებს.

აი, ყველა ეს შეადგენს, ჩვენის აზრით, სათავეს ჩვენის უნიადგობისას ახალი დროის საეკონომიო ასპარეზზე. ამ საფუძველზე არის აღმოცენებული ქართველობის დღევანდელი საზოგადოებრივი აზროვნება და მოქმედება, რომელსაც რეალურ ცხოვრებასთან კავშირი გაწყვეტილი აქვს.

ფ. გოგიჩაიშვილი.



ჩემო სიცოცხლე!

რომანსი.

(გუძღენი „მარ“-ს).

მსურს გადავიქცე ასპიტ გველად, შხამთა მფრქვეველად,
რომ შენს ცივს მკერდსა დავეპკურო... გულს ჩაგეწვეთო;
მსურს არ გიმზერდე და დავძრწოდე მინდორ-ტყე-ველად,
მსურს ვიქცე ტალღად—უფსკრულს გშთანთქა... შუა გაგკვეთო.

*
**

მსურს მოგიშორო... და არ ძალმიძს, მაინც შენა მძლევ,
მინდა გაგტყორცნო, მაგრამ გმონებ, თავსა გველები;—
და რამდენიც მსურს დაგივიწყო, ჩემო სიცოცხლე,—
იმდენად უფრო ძალას მმატებ, მაგიებ... ვლენები!..

ი. გრიშაშვილი.

ლამის სიმღერა.

ლამეა წყნარი, ტყე ხმაურობს და ველი ფშვინავს,
ცას დადის მთვარე, მას ღრუბელნი ვერა ჰფარავენ,
დალლისა გულსა შენს ლოდინში მკერდში არ სძინავს,
ახ, მოდი! მოდი! მოლოდინნი გულსა ზარავენ!


ჩემსკენ ისწრაფე სულის ტოლო და მეგობარო,
თუ რომ გსურს ნახო ვით გეტრფიან შენნი ტრფიალნი.
ფიქრი მაქვს გულის, მსურს რომ იგი შენ მოგაბარო,
დანელდებიან ვიდრემდისინ ცისა ციაგნი.

გული შენსკენ რბის, ოდეს თვალნი აქა რჩებიან,
თვალნი უგულოთ ვით შეხედვენ ლამის ნათელსა?
ტრფიალთათვისაც ცის ციაგნიც ერთხელ ჰქრებიან,
ემურებოდე სულო, სულო წუთი-სოფელსა!

შ. ამირჯუბი.

შინაური მიმოხილვა.

ჩვენ გვრწამს, რომ როგორც ადამიანის ისე ერის ცხოვრებაში წინსვლას ადგილი აქვს, მაგრამ თუ ეს რწმენა გვასულდგმულებს, ისიც უნდა გვრწამდეს, რომ შეიძლება როგორც ადამიანი, ისე ერიც ისეთ პირობებში ჩავარდეს, როცა უკან



სვლა, დაძაბუნებაც შესაძლებელია... სწორედ ასეთ მოვლენას ვამხნევთ ჩვენი ცხოვრების ბევრ მხარეში. მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში საშინაო წარმოება თანდათან განვითარდა და წარმოიშვა თანამედროვე ქარხნები, ჩვენში საშინაო მრეწველობა თანდათან დაეცა და ბევრი მისი დარგი სრულიად მოისპო. დღეს, მაგალითად, საქართველოში არც მოიპოვება ისეთი კუთხე, სადაც სელი მოჰყავდეთ, წინათ კი სელის ქსოვილები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შალის წარმოებაც თანდათან მცირდება. იმავე მდგომარეობაში ბევრი სხვა დარგაცა. რატომ? იმიტომ რომ ცხოვრების ახალმა პირობებმა მოითხოვეს მეტი ცოდნა, შეკავშირების საჭიროება და თვალაზნეულ მოქმედების მაგიერ გათვალისწინებულნი, მოსახრებული მუშაობა. ხოლო ასეთი მუშაობა მაშინაა შესაძლო, როცა საზოგადოებრივი ძალები შეგნებულად ექცევიან თავის საქმეს, როცა თეორიულად შეისწავლიან სამშობლო მეურნეობას და ამ შესწავლას შედეგად პრაქტიკულ ზომების განხორციელებას შეუდგებიან. არსებობს ჩვენში საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება, სადაც ჩვენ საკირობაზე ძალიან ნაკლებია ლაპარაკი. ძასთან ეს საზოგადოება იმდენად შორს სდგას ჩვენ ხალხთან, რომ მას ჩვენთვის სასიკეთო არაფერი მოეითხოვება. ათასჯერ უკეთესი იქნებოდა, თუ რაიმე ჩვენი ძალა ამ საზოგადოებაში მუშაობს, რომ დროზე თავი გაენებებია და საკუთარი, ჩვენი საზოგადოება დაგვეარსებია. დღეს, როგორც ვაფიგეთ, რამდენიმე საზოგადო მოღვაწეს უკვე შეუქუშავებია და წარუდგენია მთავრობისათვის დასამტკიცებლად ქართველთა საშინაო მრეწველობის საზოგადოების წესდება. საქმის დამწყებთა სახელი და აგრეთვე ასეთი საზოგადოების საკიროება თავდებია იმისა, რომ საზოგადოებას დიდი სიხარულით მიეგებება მთელი ქართველობა და კიდევ შესაფერ ნაყოფს გამოაღებინებს მას.

* *

ჩვენ დაჩვეული ვართ, რომ ყოველი ჩვენი სიკლახე სხვას დავაბრალოთ, გარეშე ძალებში ვეძიოთ ჩვენი დაძაბუნების მიზეზი. მართალია, გარეშე ძალებმა მეტად შეკვბოქეს და დაგვიმონეს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ გარეშე ძალების გაბატონებასაც ქართველი თავიდანვე ხელს უწყობდა და დღესაც ხელს უწყობს. ვისაც შეკნებულ მოქმედებას უნდა მოსთხოვდე, სწორედ იმისაგან უნდა ელოდე ყელში დანის გამოხმას. ხშირია ჩვენში მოლატერატორე ან სხვა საზოგადო მოღვაწის სახელის მატარებელი ქართველი, რომელმაც შეიძლება ქართული ანაბანაც არ იცის. რუსული გაზეთებით ხომ სულ აგვიკლეს, სოკუსავით არსდება ეს გაზეთები და მერე სულ ქართველები-

საგან. მერე რისთვის ან ვისთვის? ტფილისში სულ ერთი მუქა პოლონეთის საზოგადოებაა. და აი მათ აქვთ საკუთარი კლუბი, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან და საჭირ ბოროტო საკითხზე მოილაპარაკებენ. ესლა პირველ იანვრიდან ეს საზოგადოება ტფილისში ყოველ დღიურ გაზეთს გამოსცემს. ბათომში სომხები ყოველდღიურ გაზეთს აარსებენ. ქართველები? მთელ იმერეთში, რომელიც დღეს ასე თუ ისე ქართულ მწიგნობრობას კვებავს, ერთი ყოველდღიური გაზეთი არ გამოდრს. ქართველ ინტელიგენტების გულგრილობისა და დაუდევრობის წყალობით ტფილისში ძლივს ბოგინობს ორი ყოველდღიური გაზეთი. ნუ თუ დრო არ არის, შესდგენ ეს ვაჟბატონები და ერთ წუთში მაინც გაითვალ-სწინონ, თუ რა ხორცმეტად გადაიქცნენ ისინი ჩვენ ეროვნულ სხეულზე?

* *

სახალხო უნივერსიტეტის დაარსება ჩვენ მრავალმხრივად გვანარებდა და გვეგონა, რომ იქ ჩვეულებრივი გარუსების და გადაგვარების პოლიტიკა თავს არ იჩენდა, რადგან ამ სიმპატიურ დაწესებულების მიზანი ყოველ პოლიტიკურ ბრძოლის გარეშე სდგას; ის ავრცელებს ხალხში ცოდნას; მაგრამ აქაც მოგსტყუვდით. ფრთის გაშლაც ვერ მოასწრო ახალმა დაწესებულებამ და აკრძალეს ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა. ეს ისეთი აშკარა შეუსაბამობაა, ისეთი ზედმეტი ძალადობაა, რომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძალე მოისპობა. როგორც გაზეთები გადმოკვცემენ, მოსალოდნელიცაა, რომ მოისპოს.

* *

როცა ხალხს საშვალეა აქვს თვითონ განაგოს თავისი საქმეები, მაშინ ის ცდილობს ჰარმონიულად განვითარდეს, თავის ცხოვრების ყოველ მხარეს შესაფერი ყურადღება მიაქციოს. მაგრამ როცა მას თავისუფლების გზა დახშული აქვს, მის საზოგადოებრივ შემოქმედებას ცხრა კლიტული ბორკილი ადევს, მაშინ მისი ცხოვრებაც უსისტემოდ მიმდინარეობს. თვარა რა წარმოსადგენია, რომ მეურნეობის ქვეყანაში, საქართველოში, სამეურნეო ცოდნას ისეთი მცირედი გასავალი ჰქონდეს და ღარიბი თუ მდიდარი კლასიკურ განათლებას ეწაფებოდეს? განსაკუთრებით არავითარი პრაქტიკული ცოდნა არა აქვთ ჩვენ ქალებს. და აი ფოთის ქალაქის თვითმართველობას აღუძრავს შუამდგომლობა, რომ ფოთში დაარსდეს საქალგობო სამეურნეო სასწავლებელი. ეს მეტად სიმპატიური განზრახვა, იმედია, განზრახვად არ დარჩება. თუ სხვა პირობები ხელსაყრელია, ფოთში ასეთი სასწავლებლის დაარსება იმიტომაცაა სასურველი, რომ


ის ხელმისაწდომი იქნება როგორც მეგრელებისთვის, აგრეთვე გურულებისთვისაც, რადგან ფოთს საშუალო ადგილი უქირავს.

* *

ვის არ წაუკითხავს გლეხის მესაიდუმლე რაფიელის ლექსები, სადაც ის აგვიწერს, თუ როგორ სწიწნიან გლეხს ყოველ მხრიდან:

„გეო ვაჭარი ხემ სახლში ნავარდობს, რაგორც ქარაა, გზირიც არეისგან გამტყვრალი გარაობს, რაგორც დორაია რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, რით მოვიცილო ჭირია! ეგულა მე ჩამომეკადა,—სოფლის მოსედე, გზირაა...“

მართლაც რომ საოცარი ერთსულობით აძრობენ გლეხს ისედაც გამძვრალ ტყავს. გლეხი დაეჩვივა, რომ ყველა მას ართმევს და ატყუებს, ხოლო მომტანი მისთვის კი არაფერია. ვისაც ხალხის ტკივილი თავის ტკივილად მიაჩნია, ცხადია, ამ მრავალ გვარ წურბელებს უნდა შეებრძოლოს და გამოსტაცოს ხელიდან ისედაც ძალზედ დასუსტებული სოფლის მუშა. ამისთვის კი ერთადერთი გზა გლეხების შეერთებაა სხვა და სხვა ამხანაგობებად. საგარეჯოელებს უკვე გზა გაუკვლევიათ და აარსებენ მომხმარებელ საზოგადოებას და საკრედიტო ამხანაგობას. საქმის დაწყებას ბევრი დაბრკოლება შეხვდებათ, გალადებული ჩარჩები და სხვა რაინდებიც წინააღმდეგებიან, მაგრამ რაკი ერთხელ საქმე დაიწყოს, ხალხმა საჭიროება და მისი დაკმაყოფილების გზა გაიგო, იმედა, განათლებული მოთავენი საქმესაც კეთილად დააბოლოებენ. იმედი უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ სხვა სოფლებიც მიბაძვენ ამ მაგალითს და შეეცდებიან ზედმეტ წურბელებსა და მკარცველ-მგლეჯელებს თავი დააღწიონ.



(ნ. გამბუხია-ქაფარლის იუბილეის გამო).

* *

ვინა სთქვა „დაძაბუნდენო“,
მტერსაც ნუ გაუგონია.
ვითომ სულ ლაჩრები ვიყოთ?

— ტყუილად ვისმე ჰგონია.
ნუ სტირი, ქართლის დედაო,
გული ნუ დაგიღონია!
ნუ სტირი, კიდევ საკმაო
მოგვდევს ძალი და ღონია!

ძალმა თავდადებულთაძა
აქამდე მოგვიყოლია;
გავიგეთ, ვინაც ან მტერი
და ან მოკეთე გვყოლია.

და აქ მოყვრების საცნობლად
შევეყრილვართ თავისიანნი,
მოვსულვართ ოთხივ მხრიდანა,
მოგვაქვს სალამი მხრიანი.

ტურფადამც აყვავდებიან
ძმობის ვარდნი და იანი!
და მტრების დასახვედრადაც
ესევე შევიყრებითა:
შავი ზღვით კასპისზღვამდენა,—
სულ ყველა ჩვენი ძმებითა!
მამულიშვილთა აჩრდილნიც
კლავ აღსდგებიან მკვდრეთითა!

თ. რაზიკაშვილი.

ცხოვრება და ხელოვნება.

„ანათემა“, ტრაგედია ლეონიდ ანდრეევისა.

„ცხოვრება ადამიანისა“, „მეფე შიმშილი“ და „ანათემა“ თავისებური ტრილოგიაა. პირველი ადამიანის კერძო ცხოვრების სქემა მხატვრულად გამოთქმული; მეორე ადამიანის კრებულის ცხოვრების მექანიზმის, უდიდესის მოძრაობის არსებობის მხარის ალგებრაიული განსურათებაა, ხოლო უკანასკნელი კი ადამიანის ინტელექტის, ადამიანის აზრისა, ზრახვისა, ფიქრისა და სურვილის, ადამიანის წადილისა და ლტოლვის დაუსრულებელის და უნაყოფო შრომის ნაღვლით აღსავსე მხატვრობაა. ეს უკანასკნელი საფეხურია ადამიანის ცხოვრების მოვლენათა შორის და თანაც უპირველესი, თვით წყარო ადამიანის ცხოვრებისა. ადამიანის ცხოვრების მთელი ტრაგედია, ადამიანის უბედურება. ადამიანთა კრებულის უკმაყოფილება და უღვრამელობა იმისაგან წარმოსდგება, რომ კერძოდ ადამიანი და საერთოდ ადამიანნი საუკუნეთა განმავლობაში ეძიებენ და ვერ უპოვიან, ვერ მიუგნიათ, ვერ მისწდომიან და ვერ გამოუცვნიან „სად არის ქეშმარიტება“ და სად არის „ბედნიერება და სიხარული ცხოვრებისა“. წარსული ღვაწლი კაცობრიობისა ამ ნიადაგზედ, არაფერს საიმედოს გვიქადის მომავალშიაც.

მთელი ისტორია ადამიანის ცხოვრებისა, მისი აზრისა და გონების ჯაფა, მისი ძიება სიხარულისა და ბედნიერებისა, თავდება ისე, როგორც ანდრეევის ახალი ტრაგედია იმავე წყეულის, გულის მომშხამველისა, თავზარ დამცემისა და გაბოროტებულის კითხვა-პასუხით—„მითხარი, გაიგებს თუ არა ანათემა ქეშმარიტებასა?“

— ვერა.—

„მითხარი, დაინახავს თუ არა ანათემა ბჭეს ახსნილს, დავინახავ თუ არა შენს სახესა?“

— ვერა,—ვერასოდეს. ჩემი სახე გამოჩენილია—მაგრამ შენ კი ვერა ჰხედავ... ის რაც შენ არ იცი, ანათემა, არ განისაზღვრების საზომავითა,

არ გამოიანგარიშების რიცხვითა, არ აიწონების სასწორითა... არის უცნობი ცეცხლი, რომლის სახელი არა უწყის არავინ, ვინაიდან არა აქვს საზღვარი სიმზურვალეს ცეცხლისასა“. ყოველსავე ჩვენს კითხვას, ყოველსავე ჩვენს ძიებას ამ სფეროში წინა აქვს ამართული კედელი, ბჭენი, „რომელნიც მოასწავებენ გონების მისაწდომელის მსოფლიოს საზღვარსა“. ამ კედლის იქით იმყოფება „ყოველივე არსისა და არსებობის დასაბამი, დიადი გონება საძყაროსი, რომელიც შეიცავს უდიადესს საიდუმლოებასა“. ბჭეთ მცველადა ჰყავს „უძრავად მდგარი ვინმე“, იგია ერთად ერთი გონების მისაწდომელი, ერთად ერთი იგი ეცხადება დედა-მიწასა: იგი ორის ქვეყნის საზღვარზედა სდგას, ორგვარია თავისის თვისებითა, სახით ადამიანსა ჰყავს, არსებითად კი სულია უსხეულო. იგი შუამავალია ორის ქვეყნის შორის“. ეს „ვინმე“, გახყენებული სიმბოლო ადამიანის ორპირისა და ორგვარის ბუნებისა, ადამიანის ორნაირის არსებისა, რომელიც ცასაც ეკუთვნის და დედამიწასაც, საიქიოსაც ელამუნება და სააქოსაც ძაგრად ებლაუქება; იგია სიმბოლო ადამიანის არსების უძღურებისა მიუწდომელის გამოცნობაში. დიადი გამოუცნობელი, იგია, რომელიც გონებას ნიადაგ მტკიცე „ვერას“ ეუბნება, ხოლო ჩვენ ხორცს კი უკვდავებას თავის უარყოფაში უსახავს, იგია ანათემას—ჩვენის გონების თავზარდამცემი, იგია დავით ლეიზერის წამაქეზებელი, რომ უარჰყოს პირადობა და ამგვარად ჩაინთქას „არარაობაში“. ორივე შემთხვევაში იგი გარდაუწყვეტელად სტოებს ჩვენის არსების ორმხრივ მდგომარეობას: იგი დაუკმაყოფილებლად სტოებს სულსაცა და ხორცსაც.

გონება იგი მსოფლიოს ხელმძღვანელი, თუ ძალა უგუნური და უსულო, მიუწდომელია ადამიანის აზრისა და გონებისათვის და მძიმე, შეურყეველისა და შეუდრეკელის კედელით არის შემოზღუდული. ამ კედელს აწყდება და იმსხვრევა მთელი ძალა და ღონე საუკუნოების გონების ნაწარმოებისა და ცდისა, ვინაიდან „ვინმე“ ორპიროვანი, გამოხატველი ჩვენის ბუნების ორგვარობისა, ჩვენის ხორციელებისა და სულიერებისა დარაჯად უდგია ამ კედელს და ყოველივე მიმსვლელს აცამტვერებს უცნაურის იარაღითა. ამ იარაღით აქარწყლებს ჩვენის გონების ყოველივე ლტოლვასა და უსაზღვრო წყურვილს გამოუცნობელის გამოცნობისას, მიუწდომელის მიწდომისას. იგი ძალაა ჩვენის უძღურების გამომსახველი, იგი უძღურებაა ჩვენის არსების დაუსრულებელის ტრაგედიის სიმბოლოდ ქმნილი.

ჰა მთელი ღრამა ადამიანის გონებისა, მისის ინტელექტის უნაყოფო ბრძოლისა, რომელიც გამოთქმულია ანდრეევის ახალის ტრაგედიის დასაწყისში.

თუ ჩვენი გონება, ეს „ანათემა“, დაწყველილი, შეუპოვარი, თავხედი, გამბედავი და შეუდრეკელი მკვლევარი, მაძიებელი საიდუმლოსა, მარადის ერთისა და იმავე ძიუწდომელის ბჭის წინაშე სდგას, გაკატრებული და დაძარცვებული, არა უკეთესს მდგომარეობაშია ჩვენის არსების ხორციელი ნაწილი. თუ ჩვენი სული ცოდვილს მიწაზედ დანავარდობს, უკედა ვსთქვათ დაწინწალობს, ისე, რომ ცის კარამდის ვერც კი მიუღწევია და ყოველივე ძისი ცდა ამ სფეროში მისის ფრთების დახრუკვითა თავდება, ჩვენი ხორციელებაც არა უკეთესს მდგომარეობაშია, იგიც იმავე დამარცხებას განიცდის მუდამ და მარადის ჟამს.

მეორე ნაწილში ანდრეევი აგვიწერს დავით ლეიზერის ცხოვრებას. ავტორმა უკვე „ადამიანის ცხოვრებაში“ დაგვიხატა ადამიანის პირადის ცხოვრების დაღუპვა და სასტიკი დამარცხება. აქ კი იმავე საზომავით მიჰმართავს ისეთის ადამიანის ცხოვრებას, რომელსაც თავის პირადობა უკუ უგდია და მარტო „მოყვასთა თვისთათვის“ ზრუხავს და იღწვის, და იმავე დასკვნამდის მიდის, „ცხოვრება სხვისთვის“ ისეთივე უნაყოფოა, ისევეა გახმხადებული დამარცხებისათვის, როგორც „ცხოვრება პირადი“.

დავით ლეიზერი მთელს თავისს ძალას ქონებრივს, მთელს თავისს სულიერს სიმდიდრეს შესწირავს ხალხის ბედნიერებასა. დავითის ერთად ერთი სანატრელი ის არის რომ მოუპოვოს ხალხს „ბედნიერება და სიხარული ცხოვრებისა“ და ამისთვის მხად არის ყოველგვარი მსხვერპლი შესწიროს. ხალხიც აღტაცებით ეგებება მას, ქვეყნის ყოველის კუთხიდან ძოდინ და თავყანსა სცემენ მას. მას უკვე მიანიჭეს სახელი „დავითისა, კაცობრიობის სიხარულის ძიმნიჭებელისა“. იმედითა და სასოებით გატაცებული ბრბო თან სდევს მას, ძაგრამ დავითი იმდენადვე უძღურია „სიხარულისა და ბედნიერების“ ქვეყნად დამკვიდრებაში, როგორც ანათემა ქეშმარიტების გამოცნობაში. დავითის ძილიონები გრაშობითაც ვერ გასწვდება ხალხს, დავითის ცრემლები ერთის ადამიანის ტანჯვას ერთის წუთითაც ვერ შეამსუბუქებს, დავითის დაღვრილი სისხლი ერთის წუთის ღიძილსაც ვერავის ძიანიჭებს და აი დავითიც—ჩვენის არსებას სიხარულისა და ბედნიერების დაუშრეტელის წყურვილის სიმბოლო ისევე გაკატრებული რჩება თავისს ჰოდვაწეობაში, როგორც ჩვენის გონების ცდის სიმბოლო ანათემა ქეშმარიტების ძიებაში. და როცა დავით მიჰმართავს ხალხს სასოწარკვეთილებითა და თანაც სიყვარულითა და თავგანწირულებით აღსავსე სიტყვებით—ჯილდოთ ქვებს მიიღებს: „აბა, დაფიქრდით, თუ ყოველისფერი არ შემოგვირეთ თქვენ, და ჩემთვის კი აღარაფერი დაძიტობია... აღარა გამაჩნიარა. ჩემს ძარღვებში ცოტაოდენილა სისხლი დამ-

რჩა, მაგრამ ნუ თუ უკანასკნელ წვეთამდინ არ დავ-
 დვრილი თქვენთვის—ოღონდ კი შეიძლებაოდეს თქ-
 ვენის მწარე წყურვილის მოკვლა... (გაიგლფეს
 ტანისამოსს და ფრჩხილებით იხოკს გაშიშვლებულ
 გულს) აჰა, მოდის სისხლი, სისხლი მოდის და აბა
 თუ რომელიმე თქვენგანმა გაიღიმა, აბა თუ ვინმე
 თქვენგანმა გაიღიმა სიხარულით. აჰა, ჩემი თმა და
 წვერი, ჩემ ქალარას ვიგლფე და ფეხ ქვეშ გიგებთ
 და აბა თუ ერთი მკვდარი აღსდგა მკვდრეთით? აჰა
 ქვები... ქვებს დავხრავ ვითა გაცოფებული მხეცი
 და აბა თუ ვინმე თქვენგანს ამით შიმშილი შეუმ-
 ცირდება? აჰა, მთლად ერთიანად გადმოგიგდებთ
 ჩემს თავს... ამ დიდის მსხვერპლის წილ კი დაცი-
 ნება და დევნა, ყვედრება, ცილის წამება, და ბო-
 როტი სიტყვა. „შენ ავაზაკი ხარ, შენ მცარცველი
 ხარ“, ეუბნება მას ბრბო შეუგნებელი და ქვით ჩა-
 ჰქოლავს მას. თავისებური გასამართლებელი საბუთი
 ბრბოსაცა აქვს; იგი ეძიებდა „ბედნიერებას, სიხა-
 რულს“, ეგონა თუ მოვიდა კაცი, რომელმაც მოუ-
 პოვა მას ეს მარადის სანატრელი საგანი და გამო-
 დგა, რომ მისი ღვაწლიც ისეთივე უნაყოფოა, რო-
 გორც სხვებისა. ამგვარად ანდრეევის დრამის მეო-
 რე ნაწილი, ვიმეორებ, სიმბოლიური სურათია ადა-
 მიანის ხორცის, მისა ბუნების წადილების გაკოტ-
 რებისა, ისე როგორც პირველი მისი გონების დამ-
 არცების თავზარდამცემი ხატებაა. დავით ლეიზერ-
 ის ცხოვრება, რომელიც თავიდან ბოლომდე
 უარყოფაა პირადის ცხოვრებისა და გაღმერთება
 სხვისი, მოძმეთა თვისთათვის თავის დადებისა, ეგ-
 რეთივე დამარცხებული რჩება, როგორც ადამიანის
 ინდივიდუალურის თვისებების ნება და სურვილი.
 ეს კაცი იმ ხალხისაგან ჯვარცმულია და ჩაქოლი-
 ლი, რომელთაც შესწირა მან მთელი თავისი არსე-
 ბა, მთელი თავისი ზრახვა და მისწრაფება. არა თუ
 მისი მსხვერპლი უნაყოფოდ რჩება, ვინაიდან ერთი
 გოჯის ოდენი ბედნიერება და სიხარული ვერ მია-
 ნიჭა ვერავის, არამედ თვით მისი ცდა შეუგნებე-
 ლია და დაუფასებელი. ამგვარი ფინალი მიასი მო-
 ღვაწობისა, ვერავითარ სიამოვნებას, ვერავითარ კმა-
 ყოფილებას ვერ მიანიჭებს ადამიანსა. ეს კიდევ არაფე-
 რია, დავითის უცნაური მოკვლა შეიქმნება ადამი-
 ანთათვის წყარო მრავალის უბედურებისა, რადგან
 დავითის კაცთათვის თავგანწირულის სისხლს იძიე-
 ბენ თვითონ ადამიანი და ერთი მეორეს დასდე-
 ბენ ბრალს ამ უცნაურს ბოროტ-მოქმედებაში. ასე
 უბედურად თავდება ცხოვრება და თავგანწარულე-
 ბა „სხვისათვის“, ასე უნაყოფოდ ბოლოვდება უარ-
 ყოფა პირადის ცხოვრებისა. და როცა „ვინმე“ ამ-
 ბობს, რომ „დავითმა მიაღწია უკვდავებას და ცხ-
 ჲვრებს უკვდავად ცეცხლის უკვდავებაშია“ ჩვენი
 გონება, ანათემის სახით შეიძლება სამართლიანად
 უპასუხებს, რომ „სცრუობ, სტყუიო“. მართლაც
 თუ იგია უკვდავება სანეტარო, ამას ჩვენ ვერ ვხე-

დავთ, ვერ გამოვიცნობთ და ვერ გავიგებთ, რო-
 გორც მას, რაც არის დამალული იმ ბქეთა უკან,
 რომლის მკველია თვით „ვინმე“. ხოლო თუ იგია
 უკვდავება იმ აზრით, რომ დავითი, როგორც სიმ-
 ბოლო ადამიანის ცხოვრების ერთგვარის მისწრა-
 ფებისა, ისევე დაუსრულებელია, ისევე გამეორდე-
 ბა, როგორც ცხოვრების სხვა მოვლენანი, ეს არა-
 ვითარ სანუგეშოს არ შეიცავს, რაკი უმეცრებითა
 და გამოუცნობელობით აღსაფე უკვდავებას სჯო-
 ბია მომაკვდავობა. შემგნებელი და მიუწოდომელის
 ფარდის ამხსნელი ცხოვრება რასაკვირველია უკვ-
 დავია. უკვდავია მისი გონება და ძიება, მაგრამ
 ეგრეთივე დაუსრულებელია უნაყოფობა ჩვენის
 ცხოვრებისა და ჩვენის გონების მისწრაფებისა. რა-
 საკვირველია ყოველთვის იქნება ცხოვრებაში და-
 ვითა, თავისის სულისა და ხორცის ხალხისათვის
 გამწირველი, მაგრამ ისევე სამარადისო, ყოველ
 ქამს გამეორებული ტიპია ბრბოს ერთ ერთი წევ-
 რი, „ვინმე უცნობი“ და ისევე სამარადისო და
 დაუსრულებელია თვით ბრბოს დაუშრეტელი
 წყურვილი პირადის „ბედნიერებისა და სიხარული-
 სა“, რომელსაც თავის დღეში ვერ მიაღწევს. ისე-
 თივე დაუსრულებელია ბრბოს უბედურება და უკ-
 მაყოფილება საუკუნიდან საუკუნემდე გამეორებუ-
 ლი და იგივეობით აღბეჭდილი. აი მთელი შინა-
 არსი ანდრეევის ახალის ტრაგედიისა გულ მომწყ-
 ვლელი, სასოების წამწყმედი და თავზარ დამცემის
 უიმედობით აღვსილი; ადამიანის უბედურებას არა
 აქვს საზღვარი, იგი დაუსაბამოა და დაუსრულებე-
 ლი, იგი უკვდავებით არის შემოსილი; ადამიანი
 უბედურია ვინაიდან ვერც ერთს სფერაში ვერ პო-
 ებს დაკმაყოფილებას თავის ლტოლვისა და მისწრა-
 ფებისას და მთელი მისი ცხოვრება მონაა ყურ-
 მოჭრილი „გამოუცნობელისა“, მით განაწამები და
 დატანჯული.

ერთი რამ არის ანდრეევის ტრაგედიაში თით-
 ქო გაკვრით მოხსენებული. სიმშვენიერე და სილა-
 მაზე ცხოვრების ერთი დიადი მოვლენათაგანია.
 როგორია მისი დანიშნულება, მისი როლი, რა ნა-
 ყოფი მოაქვს მის არსებობას ადამიანის ცხოვრებაში,
 ამ არა ნაკლებ ღრმა კითხვას თითქო გაკვრით ეხე-
 ბა ავტორი. „სიმშვენიერეო“, ამბობს ანათემა,
 ღვთის წყალობაა, რომლითაც მან დაასაჩუქრა ადა-
 მიანი და მით აღამალა იგი და მიიხსლოვაო“. ამ
 სიმშვენიერის წარმომადგენელი დავითის ქალი რო-
 ზა, სწორედ იმ დროს, როცა დავითი შეუდგება თავ-
 ვის მსხვერპლის საქმეს, გაიტაცებს თავის წილს
 სიმდიდრისას და გაიტყვევა მამის სახლიდან, ამ სი-
 ტყვებით: „მე თქვენთან საქმე არა მაქვს რა. მე
 კარგად მესმოდა, შენ ყველას მოუწოდე, ყველას,
 ძალიან ხმა მაღლად უძახოდი ყველას, მაგრამ მო-
 უწოდე კი მშვენიერებისა? მე აქ ადგილი არა მაქვს.“
 ამგვარად სიმშვენიერე გაუბრბის არათუ დავითს და

უარყოფით ეკიდება მის მოქმედებას, გაურბის თვით-
დრამასაც და ჩვენ აღარავითარი საშუალება აღარ
გვრჩება გავიგოთ, რა მოვალეობას აკისრებს ავტო-
რი ამ „ღვთის წყალობასა“? დავითის ცხოვრება აშ-
კარა გამოხატულებაა ქრისტიანობრივის იდეალისა,
როზა კი თვით განხორციელებული სიმშვენიერეა.
სიმშვენიერე კი გაღმერთებულნი იყო ძველ ელლინ-
თა კულტურაში, ცხოვრების ამ ორის პრინციპის
ამ ორის კულტურის, ამ ორის ცივილიზაციის და-
პირდაპირება შეადგენს უმთავრესს საგანს დღევან-
დელის ლიტერატურისას, ამ აზრით გაჟღერებულია
თვით ანდრეევის „ელეაზარიც“. შესაძლოა აქაც
ანდრეევი უნდოდა ხაზი გაესვა იმ მოვლენისთვისა,
რომ არსებობს ღრმა შეფურცელობა ქრისტიანუ-
ლ თავგანწირულებას, გლახაკთა მორალით გამს-
ქვალულ კულტურასა და ელლინურ ესთეტიზმის,
მშვენიერის თავგანისცემით აღსავსე კულტურის შო-
რის. მაგრამ მიანიჭებს კი ადამიანს ბედნიერებას
სიმშვენიერე და შესძლებს კი ეს ძალი ცხოვრები-
სა მას, რაც ვერ შესძლო გონებამ კაცისამან, რაც
ვერ შესძლო მორალმა თავის წარმავალის პირადო-
ბის უარყოფაზედ აღშენებულმა? ეს საკითხი დღეს
ბევრ დიდ გონებას აფიქრებს.

კიტა აბაშიძე.

მთის არწივი შამილი.

ისტორიული ამბავი.

გაგრძელება მე-III კარისა.

სოფელი დარგო და იჩქერის ტყე შავ სამარედ
გადაექცა რუსის მხედრობას. 1845 წელს რომ გრა-
ფმა ვარანცოვმა კინალამ თავი დაიღუპა, სამის წლის
წინად, 1842 წელს, გენერალ ადიუტანტმა გრა-
ბზემ ისეთი სირცხვილი სქამა, რომ ამის მზგავსი
რუსებს არა ენახათ რა იმ დროიდან, რაც რუსის
მართვა-გამგეობა დამკვიდრდდა საქართველოში. ვის
მოუვიდოდა აზრად, რომ გამარჯვებას ჩვეული ჯა-
რი ისე დამარცხდებოდა და შერცხვებოდა, რო-
გორც ეს გრაბზეს დაემართა დარგოში, მაგრამ მო-
ულოდნელი მოხდა. ისტორიკოსი ესაძე ასე გვიამბობს
ამ ამბავს, რომელსაც გულ-მტკივნეულად იხსენი-
ებს და ამბობს, რომ იგი ამბავი შავ ლაქად დარ-
ჩება სამუდამოდ რუს და მთიულთა განუწყვეტელ
ომიანობის მატრიანეშიო.

გენერალი გრაბზე დაიძრა სოფელ გერზელი-
დან 30 მაისს 1842 წელს და გაემართა დარგო-
საკენ იჩქერის ტყით. თან ახლდა სარდალს ძრიელი
რაზმი, რიცხვით 10.000 ჯარის კაცი. გრაბზე ჰფი-
ქრობდა ერთის შეტევით შამილს თავ ზარს და-


ცემ, სამუდამოდ ბოლოს მოვუღებ და იმის ბუდე
(რეზიდენცია) — დარგოსაც დავაქცევო. ვინ იცის
იქნება თამამ გენერალს იმის იმედიც თუ ჰქონდა,
რომ ამ დროს შამილი იჩქერიაში არ ეგულებოდა.

მართლაც 1842 წელს მაისის მიწურულეებში
შამილი იჩქერიაში არ იყო. 25 მაისს იგი შეიჭრა
კაზიკუმუხში 15,000 მემარიათ. დიდი ხანია შამი-
ლი ამრეზილი იყო კაზიკუმუხზე და უნდოდა ქუთა
ესწავლებინა აქ დაბანაკებულ რუსის ჯარისა და
და ამ ჯარის უფროს მ. ზ. არლუთაშვილ-მხარგრძე-
ლისთვის და აგრედვე კაზიკუმუხელებისთვის, რო-
მელნიც აგრე რიგად თავს არ უკრავდნენ შამილს,
ალმაცერად უყურებდნენ მის ბატონობას მთაში
და სულ განზე იყურებოდნენ.

კაზიკუმუხი მოსაზღვრეა ქარბელაქისა, ზა-
ქათალისა და ელისეს სასულთანოსი და მდებარე-
ობს ორ კოისუს შუა, ერთია შავი კოისუ და მე
ორე კაზიკუმუხისა. სიგივე იყო შამილის მხრივ
დარგოდან კაზიკუმუხში შეჭრა სწორედ იმ დროს,
როდესაც ჩრდილოეთიდან გენერალი გრაბზე ემზა-
დებოდა იჩქერიისა და დარგოს აკლესას, მაგრამ
განა მართო კაზიკუმუხის ლაშქრობაა სიგივე და
უზომო სითამამე? მთელი ცხოვრება შამილისა,
მოქალაქობა მისი და დაუსრულებელი ბრძოლა
უშველებელ, ევროპიულ და სამხედრო სახელმწი
ფოსთან რა არის, თუ არ სიგივე, სითამამე და
დაუჯერებელი ამბავ-არაკი? ამის გამო გასაოცარი
და მოულოდნელი არაა ეს გალაშქრება და თავ-
დასხმა კაზიკუმუხზე, ოდეს ზურგიდან გრაბზე ეჭ-
ქებოდა. შამილს შეურყვეველი იმედი ექნებოდა
თავის მამაც და ერთგულ ნაიბებისა. ისინი უშამი-
ლობას არ შეიმჩნევდნენ და საკადრის პასუხს გას-
ცემდნენ გენერალ გრაბზეს და არ გააწილებდნენ
იმამის სახელს. არც ესაძე და არც ბიოგრაფი შა-
მილისა ბ ნ ი მ. ბ. არ გვეუბნებიან, თუ ვინ დას-
ტოვა შამილმა იჩქერიაში, თვითონ რომ კაზიკუმუ-
ხისაკენ გაემართა, მაგრამ საეიქრებელია, რომ შა-
მილის მაგიერობას გასწევდა ჰაჯი-მურატი, ან ახ-
ვერდი-მაგომა, ან შეიძლება ორთავენი.

კაზიკუმუხის რუსის რაზმს უფროსობდა ნიჭი-
ერი და მამაცი სარდალი მოსე ხაქარიას ძე არლუ-
თაშვილი-მხარგრძელი. შექოსეულს შამილს არ შე-
უშინდა არლუთაშვილი და უკან დახევას და ძალის
მოკრფვას ამჯობინა წინ მიჰგებებოდა იმ მხედრო-
ბით, რაც ხელქვეით ჰყავდა იმ ხანად. მტერნი
დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს სოფელ კიულიუ-
ლისთან. მოპირდაპირეთა ბანაკს ჰყოფდა ღრმა ხევ-
ში ჩავარდნილი მდინარე კოისუ, მყვირალა და ღრი-
ალა, როგორც ჩვენი თერგი და არავგი, ილია ჰავ-
ქავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან შემკულ-
ნი და გიპათიოსნებულნი.

თავად არლუთაშვილს ჰყავდა მხოლოდ სამ-
ნახევარი ბატალიონი და 1160 მილიციონერი ოთ-



ხის ზარბაზნით. სამწუხაროდ, ცნობა არა გვაქვს ამ ჟამად, ვინ იყვნენ ეს მილიციონერები, თუმცა ექვი არა გვაქვს, რომ ნახევარზე მეტი ქართველობა იქნებოდა და მათ შორის ალბად თუ შობა, ეს დაუძინებელი მტერი დაღესტნისა. რაც პატარა თუ შეთმა ძალ-ღონე შეაღია დაღესტანს, რაც აქ წმინდა სისხლი დაღვარა, სხვაგან სადმე რომ დაეხარჯა მაგოდენი ძალა და დაეღვარა მაგოდენი სისხლი, ერთს პატარა საქმეფოს ძოუპოვებდა საქართველოს და ფეშქაშად მიართმევდა. ღვთის წინაშე არც თვითონ იქნებოდა წაგებაში და დღევანდელსავით აღარ ექნებოდა საქმბარი და სავაგლახო აღვლ-საძოვარი.

ხსიათი და ისა, თუ როგორ უნდა ლაშქრობა მთაგორიან ქვეყანაში.

რაზმი გაება იჩქერიის უღრან და დაბურულ ტყეებში და ჭიაცელასავით გაიქიმა. სურსათისა და ბარგის უომები ისე აბრკოლებდა და აფერხებდა რაზმის მოძრაობას, რომ სწოროდ ხაფანგობას უწევდა რუსის მხედრობას. მთიულტებსაც სწოროდ ეს უნდოდათ. დაზლის ძაფსავით გაქიმულ რუსის რაზმს მთიულტებმა დაუშინეს ტყვია და წვიმასავით მიაყარეს თავსა და პირში. ტყის ყოველი მხრიდან სიკვდილის სუნთქვა უბერავდა. რუსის მხედარი ვერა ჰხედავდა, საიდან ძოდის ტყვია, ვინ ისვრის, ისმოდა მხოლოდ მწარე ზუზუნნი, თითქოს ფუტკარს უყრიო. ჯარი სულით ეცემოდა და ნელ-ნელა ჰკარგავდა ჯარის უძთავრეს თვისებას—სიმხნევეს, სითამამეს, გძირობა-ვაჟკაცობას. შედრკა და გატყდა ჯარი.

წინ იწევდა ჯარი, მაგრამ რა, უარესი წინა ხვდებოდა. ასე გაშინჯეთ მთელი ორი დღე ტრიანლებდა რუსის მხედრობა ამ გავარჯარებულ თონეში და ცვარი წყალი ვერ ეშოვნა რომ ყელი ჩაესველებინა და შუბლი და გულ-მკერდი გაეგრილებინა. ნაბიჯს ისე ვერ გადასდგამდნენ რუსები, რომ წინ ხერგი არ დახვედროდათ. მაშასადამე ვიდრე ხერგს არ გასწმენდნენ და ფიხსა და ხეებს არ მიჰყრიდ-მოჰყრიდნენ, წინ ვერ წაიწევდნენ. ასეთ შეტბორების დროს ულმობელოდ და შეუბრალებლად წყდებოდა რუსობა. თვით მთიულნი თავზე ხელ-აღებით იბრძოდნენ, მტერს რომ არა ზოგავდნენ, თავიანთ თავსაც აღარ უფრთხილდებოდნენ. თითქოს შეზარხოშებულან მოსუულ მტრის სისხლითაო, მთიდან მოხვეტილ ზვავივით ეზვავებოდნენ რუსებს და მედგრად იცავდნენ თვის ტერრიტორიის თვითოეულ ნაბიჯს. შარბათივით ტკბილია მთიულისთვის სამშობლო მიწა-წყალი და აკი თავს არ ზოგავდნენ მთის არწივის ბარტყები.

გენერალი გრაბბე და მისი რაზმი იმის მეცადინეობაში იყო, რომ ჩახერგილი გზა როგორმე გაეხსნა და ხერგებიდან მთიულტები გაერეკა. ერთს ხერგს ისეთის გძირობით იცავდა მოლა შუაიბი, რომ სწოროდ საოცარი იყო. მთელი ავანგარდის-მოწინავე რაზმის აფიცრობა ან გასწყვიტა შუაიბმა, ან დაჰკოდა. ყაბარდოს პოლკის პირველ ბატალიონის კამანდირი პოდპოლკოვნიკი ოსტროვსკი აქვე მოჰკლეს.

სამის დღის განმავლობაში გრაბბემ ძლივ-ძლივობით 25 ვერსი გაიარა და რაკი დარწმუნდა, რომ წინ-სვლა შეუძლებელია და შეიძლება მთიული რაზმიც დაჰლუპოს, ბრძანება გასცა 2 ივნისს, უკან დაებრუნდეთო. ჯარი იმავე გზით ბრუნდებოდა შინ, რომლითაც ამოვიდა იჩქერიაში.

გამოტრილებულ ჯარს უფრო გაუძნელდა გზის გაკაფვა, ვიდრე წინ სიარული. არეულ და

რაკი პირდაპირ დაკვრარ შეიძლებოდა მტრისა ღრმა ხევის გამო, მაძილმა მოუარა რუსის ბანაკს და შეუტია ორთავ გვერდიდან, ან როგორც ვეროპიელები და რუსები ამბობენ, ფლანგებიდან. გაჩაღდა ბრძოლა სასტიკი, ულმობელი და ძაფრი. ჩვენის ქვეყნის შვილნი, მთიული შამილი და ბარელი აოლუთაშვილი ერთმანეთს აღარ ზოგავდნენ. გაიშარჯვა ბარელმა, მხნე და ნიჭიერმა არლუთაშვილმა. დამარცხებული შამილი გავიდა კოისუს მეორე ნაპირს და სულაც დასტოვა კაზიკუმუხი.

ბრძოლა იყო 2 ივნისს და რადგან შამილს აცნობეს, რომ ჩრდილოეთიდან გენერალი გრაბბე შემოესია იჩქერიასო, სისწრაფით გაეშურა დარგოს, სადაც სამ დღეს, 30 და 31 მაისს და 1 ივნისს უმაგალიოოდ დაემარცხებინათ შამილის ნაიბებს გენერალი გრაბბე. შამილმა ისეთი სწრაფი სიოული იცოდა, რომ ხშირად დღეში 70 ვერსი გაუვლია რაზმით.

ახლა დავბრუნდეთ იჩქერიის ტყეში და ვნახოთ, რა დაეძართა თამამ გენერალ გრაბბეს.

გენერალ-ადიუტანტი გრაბბე დაიძრა სოფელ გერზელიდან 30 მაისს 1844 წელს. *) როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, რაზმი მრავალრიცხოვანი იყო, სულ 10.000 ჯარის-კაცი. ამოდენა რაზმის ტრიალი და მოძრაობა მთაგორიან, კლდიან და უზოუკვლო ქვეყანაში და იჩქერიის დაბურულ ტყეებში შეტის-შეტად სახიფათო იყო, მაგრამ გენერალი გრაბბე ისე შეიპყრო სურვილმა დაენგრია ერთის დაკვრით შამილის საცხოვრებელი ბინა—დარგო, რომ აღარავის რჩევა-დარიგებას აღარ ისმენდა. გრაბბეს რაზმის პოლკოვნიკი, მთიული, ხასაიძუსავეი აფრთხილებდა გრაბბეს, დიდად სახიფათოა შესვლა ამოდენა რაზმით შუაგულ ავარიაში. თითქმის ძტკიცედ და გადაჭრით ეუბნებოდა მუსავეი გენერალს, რაზმი დაილუბებოა, მაგრამ არა გამოვიდა რა. გრაბბემ არ შეისმინა გონიერი რჩევა მთიულისა, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა მთა, მთის

*) ს. გერზელი (სიმაგრე) სძევს სიმაგრე ხასავ-იურტიდან დასავლეთით, ესე 12—15 ვერსით.



შერყეულ მხედრობას ექვსი ზარბაზანი წაართვეს მთიულეებმა. ესეთი სირცხვილი და თავის მოჭრა ვერ აიტანა პოდპოლკოვნიკმა პრასკინმა, ეკვეთა ჩაჩნებს და ხუთი ზარბაზანი უკანვე დაიბრუნა. ძვირად კი დაუჯდა პრასკინს ეს თავის გამეტება. რამდენიმე ტყვიამ გული გაუგმირა პრასკინს და იქვე ზარბაზნებთან სული ჩააბარა უფალს.

ენით არ აიწერება აშლილ-დაბნეულ ჯარის უკან დაბრუნებაო, ბრძანებს ისტორიკოსი ესაძე. ტყე გაივსო დახოცილთა გვამებით, კვნესა და გმინვა დაკოდითა და დაჭრილთა გულ-საკლავად მოეფინა იჩკერიის ტყის არემარესაო.

როგორც იყო დაბრუნდა გრაბბეს რაზმი 4 ივნისს ს. გერზელს, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას. 1700 ჯარის-კაცი იმსხვერპლა იმ უმაგალითო ლაშქრობამ. 66 აფიცერი დააკლდა რაზმს, ზოგი დახოცილი და ზოგიც დაკოდით. შამილის ბიოგრაფის სიტყვით ზარალი გრაბბესი უწევდა 1800 კაცს.

გენერალ-ადიუტანტ გრაბბეს უმაგალითო დამარცხებამ და გაწბილებამ დიდი სახელი შესძინა შამილს. მაშ რაღა ყოფილა რუსის ძლიერება, თუ კი სამის წლის განმავლობაში შეიძლება მისი ხოცვა და ჟლეტა ყვერულებივით, ამბობდა გაოცებული და გახარებული მთა. გულში ნათელი ეფინებოდა მთიულს და უძლიერდებოდა იმედი, ეგები ღმერთმა ინებოს და სავსებით გავრეკოთ „დონდუზები“, ველ-მინდორს და ანკარა წყაროებს რომ სწუმპავენ, ეგები მოგვხედოს უფალმა და მოვიშორთ საბელი, რუსის მთავრობა და ერი რომ მაგრად სჭიშავენ ყაზახთა სტანიცების გამართვით და საცხოვრებელ ადგილების ჩამორთმევით.

მთელი ათი წელიწადი 1832—1842, აუარებელი ჯარის კაცი შეაკლა პირქუშ მთას, აუარებელი ფული დახარჯა, დიდი ზნეობრივი ძალა და ენერჯია შეაღია მთიულეებთან ბრძოლას, და დახე ბედსა, რაღაც სამის დღის განმავლობაში დაჰკარგა ყველაფერი და ხელცარიელი დარჩა, აღარც სახელი უძლიველობისა და აღარც ნაყოფი მედგარის შრომისა.

ხოლო სახელი და დიდება შამილისა გაბრწყინდა და გაცისკროვდა, გენიოსობა იმამისა გაიფურჩქნა და გაიშალა. მდინარე ყუბანს უწია შამილის დიდების ხმამ და აუტოკა გული ყაბარდოს და ოვსეთს.

ყუბანი რა, თვით ოსმალეთს უწია შამილის გამარჯვების ხმამ. ოცნებით იქ უფრო ოცნებობდნენ და ილუბდნენ იმედს რუსეთის საბოლოოდ დამარცხებისას და კავკასიის ქედლიდან მოშორებისას.

ა. ფრონელი.



„ყვავილი“

გადამხმარს მდელს, შემოდგომის პირს ჰყვავოდა უცხო ნაზი ყვავილი. ჩუმით მოსთქვამდა გულ-ჩათხრობილი, ნამის მაგიერ პირს ბანდა რთვილი.

ხედავდა, როგორ მისი მოძმენი ძილს ეძლეოდნენ; სტოვებდნენ სოფელს და ნაღვლიანი ცრემლებს აფრქვევდა აკვირდებოდა რა გამხმარს ფოთელს.

„აღარ დაგინდობ, ჩაგკლავ, გაგაქრობ, შენი ღღეები დათვლილი არი.“ უსისინებდა, არ ასვენებდა თავ-ზარ-დამცემი ბოროტი ქარი.

„შორს გადავსტყორცნე შენი მგოსანი მის გულს მგზნებარეს აწ მიწა ფარავს, ჩემი ხარ, ჩემი და სიკვდილისგან თვით ზესთა ძალიც ვერ დაგიფარავს.“

ესმის ყველა ეს ობოლ ყვავილსა და ცრემლები სდის უმწეღ შთენილსა.

გ. ტაბიძე.

უცნაური წინააღმდეგობა

(ჰელაგოგიური შენიშვნა.)

წარსულის ღვინობისთვის გასულს პირველ-დაწვებითს სკალებს, რომლებსაც ქალაქი ინახავს, დაურვიდათ ახალი პრფგრამები, რომლის მიხედვით უნდა აწარმოონ სავსებების სწავლება მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში. პრფგრამები სავსებები ხასიათისა აჩიან და მხოლოდ ერთის წლის ვადით აქვთ ძალა.

ჰერ გვაკვირვებს პრფგრამების დარიგების დაკვიანება. იგინი უნდა დარიგებულიყვნენ სამოსწავლო წლის დამდეგამდინ, რომ მასწავლებლებს ევკლა სამხადისი დროიანად მოესდინათ. თორემ მასწავლებლებმა ენკენისთვის დამდეგამდინ შეიძინეს, მაგალითად, წინანდელი სხელმძღვანელები, და ახალი პრფგრამები კი ითხოვენ ახადს სხელმძღვანელებსა. შეორედ: როგორ შეიძლება ერთის წლის განმავლობაში შეიტყობთ ავ-კარგინობა პრფგრამების, რომელნიც ოთხის წლის კურსს შეიცავენ; ერთს წელიწადს შეგიძლიანთ მხოლოდ შეთხედი პრფგრამისა მასწავლებელ და სავი შეთხედი კი მათუთაველები და გამოურკვეველი დაკრჩებათ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სამწუხარო და თავდაუსწვეველი სხვა რამე განსჯათ. საქმე ისაა, რომ ახალი პრფგრამები ბევ-

რომ სხარს მხრივ ეწინააღმდეგებიან იმ სამსწავლო გეგმას, რომელიც შედგენილია ყოფილი მხრუნიკელის ინსტიტუტის მიერ, და მტკიცებულა დიდი მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძისგან, ნებადართულია ახლანდელი ნამუსტინის ვარსკვლავის მიერ და სრული ძალა აქვს მოქმედი კანონისა.

გავითვალისწინოთ ეს წინააღმდეგობა.

კანონიერი გეგმა სავალდებულოდ უნდა იქნას მკიდრით კავშირის რუსულის ენისა და დედა-ენისათვის, რათა სრული შეგნებით შეიძლებოდეს სწავლის მსჯელობა.

„Преподавание русского языка должно находиться въ возможно тѣсной связи съ преподаваніемъ родного языка, чтобы оно для дѣтей было вполне сознательнымъ и осмысленнымъ“ ვკითხულობთ გეგმაში. მეორე წლის შესახებ გეგმა თხოულობს: „Дѣти должны читать и писать по русски, съ объясненіемъ прочитаннаго на родномъ языкѣ. შესამე განყოფილებას იგივე გეგმა ავალდებს: „чтение и письмо русскою скорописью разныхъ статей, съ переводомъ ихъ на родной языкѣ. Письменное ихъ изложениіе на родномъ языкѣ.“

ერთი სიტყვით, გეგმა უფროს განყოფილებაში და უფროს ნაბიჯზე კატეგორიულად თხოულობს რუსულის ენის სწავლების დროს სისტემატიურს დახმარებას დედა-ენისა.

ახლა დასტოვით ახალი პროგრამის მოთხოვნილებით: იგი სრულიად უარყოფს დედა-ენის მხარდაჭერას რუსულის სწავლებაში და ლექსების მექანიკური შეთხრობით აბედაინებს ხეებს სკოლებსა. „Во второмъ полугодіи перваго года обученія русскому языку ведутся лексическіе уроки на русскомъ языкѣ,“ ბრძანებს ახალი პროგრამა. და იქვე ასახელებს ლექსების მექანიკურს ხერხს რუსულის ენის სწავლებისას რუსულს ენაზე. „Знакомя дѣтей съ названіемъ того или другаго предмета, попутно знакомятъ и съ названіемъ дѣйствія; дѣти встають, садятся, подходятъ къ столу учителя, показываютъ тотъ или другой предметъ или картину и называютъ свое дѣйствіе.“ გიხაროდენ, ბნო ლექსები, შენი მეთოდი მკვდრით ადავინებს თბილისის განმანათლებლებსა... არც მეორე შესამე და მეოთხე წლის განმავლობაში არის ჭაჭანება დედა ენის მხარდაჭერისას რუსულის გაკვეთალებზე, იქნე მუხურთი მეთოდაც გამოეხელება.

როგორც მეთხველი ხედავს, რუსულის ენის სწავლების მეთოდი ახალი პროგრამის მიხედვით სავსებით ეწინააღმდეგება კანონიერ სამსწავლო გეგმის მეთოდსა. ასეთივე წინააღმდეგობას ვხედავთ წერა-კითხვის სწავლების მეთოდშიცა. სამსწავლო გეგმა სავალდებულოდ უნდა იქნას კითხვა-წერის მეთოდსა, პროგრამა კი თხოულობს ჯერ წერას და მერე კითხვას. ამკარა და სხარს წინააღმდეგობას. ეს მით უფრო სამარცხვინოა პროგრამის შემადგენელთათვის, რომ წერა-კითხვის მეთოდი ამ უმად ეგრძობაში აღიარებულია გამოუსადეგარ და მხუნიკელ მეთოდად სა-

უეთესო შედეგებისა და ჭიკინისტებისაგან. ამ საგანს ხეენ თხუთმეტის წლის წინად ვუძღვენი ვრცელი წერილი რუსულს ენაზე ხეენს შეთხრობის სახელმძღვანელოში ასეთი სათაურით: *преимущества метода чтения—письма передъ методомъ письма—чтенія*— და ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, ჭიმიართოს ამ წერილსა. ეგვლა ხეენებურმა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ ხეენი „დედა-ენა“ და „რუსეთი სლოვა“ იმავე თავეთ, 1876 წლიდან დაწეებული, შედგენილი იყენენ კითხვა-წერის მეთოდის მიხედვით და ამავე სახით იბეჭდებიან ახლაცა.

ართმეტეის შესახებ უთახმობა არსებობს. სამსწავლო გეგმა თხოულობს, რომ უკანსკენილის, შესამე წლის განმავლობაში, ართმეტეა ისწავლებოდეს რუსულსა და ქართულს ენაზე, პროგრამა კი სავალდებულოდ უნდა იქნას ართმეტეის სწავლებას მარტო რუსულს ენაზე შესამე წლიდანვე.

სამსწავლო გეგმაში ჭაჭანება არ არის გეომეტრიისა, პროგრამა კი აწესებს მის სწავლებას მეორე წლიდანვე, დიად, მეორე წლიდანვე...

ამ სახით მასწავლებლები შეტად გაჭირებულს მდგომარეობაში ვარდებიან: თუ ახლს პროგრამის დადგობას, დაშინავედ გამოვლენ კანონიერის გეგმის წინააღმდეგ, ხოლო თუ ამ გეგმას მარტო იხელებს და მათი იხელებს, პროგრამის დადგობა დაბრალდება.

სასწავლო არის შედგენილი ქართულის ენის პროგრამაცა. უნდა აღვნიშნოთ ჯერ ისა, რომ კანონიერს გეგმაში ქართულს ენას მარტო ადგილი უჭირავს, პროგრამაში კი მეორე ადგილზე ჩამოუკლიათ.

პროგრამა იწეებს ასეთი მოთხოვნილებით; წიგნი უნდა ისწავლოთ უსათუოდ წერა-კითხვის მეთოდით. „Практика ведется по способу совмѣстнаго обученія письму—чтенію“, ვკითხულობთ პროგრამაში. ახანის სამსწავლო მხარეებს ამავე პროგრამით არა მარტო მინასრის წიგნი, როგორც ეს ეგვლა რიგის სკოლაშია მადებული, არამედ სკოლა ქრისტიანთა. გეგმა ამ ქრისტიანთა დასწავლებათ ისეთივეა, როგორც განხორციელებულია უმინის სახელმძღვანელოში; მაგრამ პროგრამის შემადგენელთ მოუნდომებთათ ადამ იმთაც, რომელიც ამჯობინებენ მინასრის საკითხავი წიგნისა დასწავლას წელიწადის დროთა მიხედვით „Вѣ эти свѣдѣнія принаравливаются къ временамъ года,“ ბრძანებენ ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, ერთი მეორეს შეუძლებლად უნდა იქნას. მაგრამ ეს კიდევ რას! საქმე ის არის, რომ თხოულობენ: „Вот эти свѣдѣнія даются дѣтямъ на сказкахъ и художественныхъ разсказахъ“. დიად, ეგვლა ცნობები ბავშვებმა უსათუოდ უნდა შეიძინონ არაკებით და ხელოვანი მოთხოვნილებით, და ისიც მირველსავე წელიწადსა. სწავლას ვარჯიშობებში მირველი ადგილი უჭირავს ასეთს კურსისა: „Предупредительный, зрительно—слуховой диктантъ“. ამას აზრი აქვს რუსულის მართლ-წერის შესახებ, რომელიც თვეთ ეშმაკი იყენს მოიტებს; მაგრამ

ქართულს მართლ-წერას ასეთი მოთხრობნილება ისე არ შეეფერება, როგორც ძროხას უნაგობი.

შეიძლება წლის პროგრამა ქართულის ენისა ითხოვს იმისვე, რასაც ზირველის წლისა, მცირეოდენი განსხვავებით, — კონკრეტული არაფერია, საზოგადო ფრაზებს შეიძლება. სამაგიეროდ „систематическое чтение художественных статей“ დოკმად არის აღიარებული. დიად, რვა წლის ბავშვები უსათუოდ და მხოლოდ ხელაფნური სტატიებით უნდა იკვებებოდნენ ..

შესამე წლის პროგრამა შესდგება აგრეთვე საზოგადო ფრაზებისაგან. და რაც კონკრეტულია, ნამდვილს კურიოზს წარმოადგენს. თბილისის განცხადების შემდეგ პროგრამა გადადის არა საქართველოს ნაწილებზე, არამედ „Закавказье-ზე და მთიულეებზე (горцы). ჭკჭკნება არ არის არც კახეთისა, არც ქართლისა, არც იმერეთისა და არც სხვა საქართველოს კუთხეებისა. სამაგიეროდ, ასეთი წყალობა მოუღიათ: „с географією и исторією своего народа дѣти знакомятся на художественныхъ статьяx“. ეს ფარული გაუქმებას სამშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიისადა. იმ ქვეყნებში, სადაც სამშობლოს გეოგრაფია და ისტორია განსაკუთრებულს საგანს შეადგენს, ამისთანა მოთხრობნილება, რომლის განხორციელება იქაც კი ძნელია, დიდს ზიანს არ მიაყენებს. მაგრამ ჩვენში, სადაც სამშობლოს აწმდგომი და წარსული სრულიად გამოერიცხულია და უარყოფილია ეგვალს სასწავლებელში, სამშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიის პროგრამული ელემენტარული კონცენტრის გამოტოვება შეადგენს არა შეცდომას, არამედ დანაშაულთან. დანაშაულთან მეთქი, ვაძობ, იმიტომ, რომ ასეთს უკუღმართობას უსათუოდ მოჭყვება სრული უვიცობა მოსწავლეებისა სამშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიისა და მოწვევტა მათი ეროვნულის ორგანიზმისაგან.

მოთხე წლის კურსში, რასაკვირველია, ჭკჭკნებაც ადარ არის სამშობლოსი. აქ დასახლებულია ის საზოგადო ცნობები, რასაც რუსულის სკოლის მესამე წლის კურსი მოათხოვს, მცირეოდენი განსხვავებით. მხოლოდ კურიოზებს აქაც ვერ ასრდენიან პროგრამის შემადგენელნი. ესენი თხოულბენ, რომ უსათუოდ ხელოვნური სტატიებით, მოთხრობებით და ექსკურსიებით გადასტენ ბავშვებს ყველა (всѣх) ჩამოთვლილი ცნობები. ამ ცნობებში კი აი რასა ვკითხულობთ: „ზოგიერთი ცნობები (რომელი?) ფიზიკური გეოგრაფიიდან, გაცნობა გლობუსისა და ქარტისა, ნაწილები ხმელეთისა და ოკეანები, სახელწოდება ევროპის უმთავრესი სახელმწიფოებისა, მოკლე ცნობები რუსეთზე. მდდი და ამ ცნობებს მიუყენეთ ან ხელოვნური მოთხრობები, ან ექსკურსიები და მოგზაურობანი. ექსკურსიებს სამშობლოს შესახებ სრულიად არ იხსენიებენ; მაგრამ თხოულბენ იმისთანა მორეულის საგნების შესახებ, როგორც არის ხმელეთის ნაწილები, ოკეანები და სხვანი. სავალდებულოდ ჭნდიან მარტო მთავარი სახელმწიფოების სახელწოდების დახსოვებას, და სრულიად უუურადღებოდ სტატიებენ იმას,

„თუ ამ სახელმწიფოებში რა არის ჩვენთვის საკულის-ხმიერო, საუურადღებო. მისაბაძი, ჭკუისა და ზნეობის მასწავლებელი.

ერთი ძირითადი ვალი ყოვლი პროგრამისა არის დასახლება სახელმძღვანელობისა. ვერ მოსძებნით ვერც ერთს ენაზე ისეთ პროგრამას, რომ სახელმძღვანელო არ იყოს აღნიშნული სახელმძღვანელო ორგანიული ნაწილია პროგრამისა თბილისის განმანათლებელთა პროგრამებში კი მხოლოდ რუსულის ენის სახელმძღვანელოა დასახლებული, ისიც მუხჯურ მეუოდზე შედგენილი, ზეტერბურგში გამოცემული, რომელსაც, რა საკვირველია, არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს ენასთან, ჩვენს სამშობლოსთანა. ქართულის ენის სახელმძღვანელონი და არითმეტიკის ქართული სახელმძღვანელონი სრულიად დავიწყებულნი და გამოტოვებულნი არიან. დასახლებულია მხოლოდ ის რუსული არითმეტიკები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თვით მასწავლებელმა. თუ ჩვენი ქვეყნის უცნობი წიკითხავს ამ პროგრამებს, იმ აზრზე დადგება, რომ ჩვენი ენა ან მოკლებულია სრულიად სახელმძღვანელობისა, და ან თუ აქვს, უვარგისნი და გამოუდგარნი არიან. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. უბედურება ისაა, რომ, როდესაც პროგრამა რომელიმე საგნისა არ დასახლებს სახელმძღვანელოებს, ამით იგი ანახკურებს, ასურტებს ვალდებულობითს უფლებას ამ საგნისა, და მის სწავლების მოსპობას დედა-ენაზე აადვილებს, ამზადებს, — ან არა და ოფიციალს უმზადებს ადგილსა. აიღეთ მაგალითად, არითმეტიკა. პროგრამა თხოულბის მის სწავლებას ორის წლის განმავლობაში დედა-ენაზე, ხოლო, ქართულის სახელმძღვანელოების ნაცვლად, დასახლებს მხოლოდ რუსულს სახელმძღვანელოებსა. რას ნიშნავს ესა? იმას, რომ საქმით, ფაქტურად აუქმებენ იმ მცირეოდენს სიკეთესაც, რომელიც სიტყვით გამოიმეტეს. ეს მით უფრო გულ-სამდგრევია, რომ ქართულს ენაზე არსებობენ არითმეტიკები, რომელნიც თუ არა სწობიან საუკეთესო რუსულს სახელმძღვანელოებს, უდრიან მაინც.

სხვა ნაკულფოვანებითაც მდიდარია ეს უცნური პროგრამები; მაგრამ ჩვენ მათ არ შევხეთ ამ წერილში, რადგანაც იგინი სხვა ცახეთებმა აღნიშნეს. ჩვენ მიერ გამოძხვეპულს ძირითადს უკუღმართობას კი არ ჩაკვირვების არც ერთი გამოცემა, და ამის გამო შეუმჩნეველად დარჩენიათ. სწორედ ეს გარემოება განდა იმის მიზეზად რომ ეგვალა ამ უკუღმართობაზე მკითხველის უურადღებო კარგა ხანს შევანერეთ.

ამ საქმეს სხვა საუურადღებო მხარეებიც აქვს, რომელიც იქნება ცალკე წერილში განუმარტოთ, თუ გარემოებას ხელი არ შეგვიძლია.

იაკობ გოგებაშვილი.





მეღვინეობისა და მევენახეობის კოოპერაციები.

(შემდგომი).

II

განვიხილოთ ეხლა ყველაზედ უფრო სრული ორგანიზაცია მეღვინეობის კოოპერაციისა, — გერმანიის „ვენციფერინები“, ავსტრიის და იტალიის „საერთო მეღვინეობანი“. ყველა ესენი ერთისა და იმავე ტიპის ორგანიზაციები არიან (გერმანული ტიპისა), მხოლოდ ოდნავ განსხვავდებიან ერთი-ერთისაგან.

მიზანი ამხანაგობისა. დაყენება და გაყიდვა მხოლოდ ბუნებრივი ღვინისა, რომელსაც ამხანაგობა ამზადებს საკუთარ ვენახებში ყველა წვერთაგან მოკრეფილ ყურძნისაგან. — გაუმჯობესება ღვინის კეთების წესისა და შექმნა ღვინის განსაზღვრულ ტიპებისა. — საერთო დამუშავება მეღვინეობის და სხვა პროდუქტებისა, მევენახეობისათვის საჭირო იარაღთა შექმნა და სხვა. — ბოძოლა მევენახეობისთვის მავნებელ პირობათა წინააღმდეგ, გავრცელება მეღვინეობისა და მევენახეობის ცოდნისა და სხვ. — გაშენება საცდელ ვენახებისა. —

წვერად მიღება. წვერებად მიიღებიან მხოლოდ ისინი, ვისაც აქვს საკუთარი ვენახი იმ საზოგადოებათა ტერიტორიაზედ, რომელზედაც ამხანაგობაა შემდგარი. ზოგიერთ საზოგადოებაში წვერთა მიღება დამოკიდებულია საზოგადო კრების სურვილზედ, ზოგან კი წვერებს ამხანაგობის გამგეობა იღებს. უკანასკნელ შემთხვევაში, თუ მთხოვნელი არ იქმნა მიღებული გამგეობისაგან, მთხოვნელმა უნდა მიმართოს სარევიზიო კომისიის ან საზოგადო კრებას.

იტალიის ზოგ ორგანიზაციათა წესდების ძალით ნამდვილ წვერთა გარდა საზოგადოებაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე დამხმარე წვერები, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ საზოგადო კრებებში, თუმცა ამხანაგობას აძლევენ თავიანთ ვენახების ყურძენსა.

წვერთა ვალდებულებანი: 1) წვერები ვალდებული არიან ყოველ წლივ აძლიონ ამხანაგობას მთელი მოსავალი თავიანთ ვენახებისა. (ზოგიერთ იტალიურ წესდებით — მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა ყურძნისა უნდა მისცენ წვერებმა ამხანაგობას). 2) წვერები განუსაზღვრელნი პასუხისმგებელნი არიან რომ ამხანაგობის ვალდებულებანი აღსრულებულ იყვნენ, ე. ი. ყოველი წვერი პასუხის მგებელია სოლიდარულად მთელი თვისი ქონებითა, რომ ამხანაგობის ყველა ვალდებულება სისრულეში იყოს მოყვანილი. 3) წვერებს შეაქვს ამხანაგობაში საწვერო ფული, რამდენიც გადაწყვეტილია საზოგადო კრების მიერ (ჩვეულებრივად 10—120 მარკა) და იხდიან თავიანთ წვლილს სა-

თადარიგო კაპიტალისათვის. იტალიის ამხანაგობებში წვერები იძენენ ამხანაგობის აქციებსა, ჩვეულებრივად 100 ლირის (ფრანკის) აქციებსა. 4) წვერები ვალდებული არიან დაესწრონ საზოგადო კრებებზედ. 5) წვერებს უფლება არა აქვს სხვა ამხანაგობათა წვერობისა. — იტალიის ამხანაგობებში თვითოეული წვერი ვალდებულია ამხანაგობის განკარგულებაში მოაქციოს თავის მევენახეობისა და მეღვინეობის ქურჭელი და საწარმოო იარაღი. თუ ქურჭელი აკლიათ, ამხანახობა იძენს მას იმ წვერთა ხარჯით, რომელთაც არ მიიტანეს ეს ქურჭელი ამხანაგობაში.

წვერთა უფლებანი. წვერებს უფლება აქვს საზოგადო კრებებზედ დაესწრონ და ხმა მისცენ, მონაწილენი არიან მოგებისა, და სარგებლობენ ყველა ამ უპირატესობითა, რომელიც წესდებაშია აღნიშნული.

ამხანაგობიდან გამოსვლა. წვერებს უფლება აქვსთ გამოვიდნენ ამხანაგობიდან, მხოლოდ ორი წლის შემდეგ დღიდან ამხანაგობაში ჩაწერისა. ამასთანავე წვერი ჰკარგავს საზოგადო ქონებაში არსებულ თავის ნაწილსა.

ამხანაგობიდან გამორაცხვა: ამხანაგობიდან ითხოვენ წვერებს, თუ საზოგადო კრების 3/4-მა გადაწყვიტა: 1) თუ ისინი არა კეთილსინიდიისიერნი აღმოჩნდნენ, 2) თუ არ აღასრულეს ის ვალდებულებანი, რომელთაც წესდება ავალებსთ.

მართვა-გამგეობა ამხანაგობისა. ამხანაგობანი აწარმოებენ თავიანთ საქმეებს შემდეგ დაწესებულებათა დახმარებით: 1) გამგეობისა, 2) სარევიზიო კომისიისა და 3) საზოგადო კრებისა (გერმანიის ზოგ ამხანაგობას მართვა-გამგეობის სხვა ორგანოთა შორის აქვს კიდევ გამომცდელი კომისია). გამგეობა შესდგება თავმჯდომარისაგან და სამი წვერისაგან (მაინშოსის წესდებით), ან დირექტორისაგან და ორი წვერისაგან (ოფენბახის წესდებით). გამგეობას ირჩევენ სამი, ოთხი ან ექვსი წლით. გამგეობა წარმომადგენელია ამხანაგობის იურიდიული პიროვნებისა და აწარმოებს ყველა მის საქმეს. მისი სხდომები წესიერად ხდება ყოველ კვირაში თითოჯერ, და ყოველთვის, როცა კი საჭიროება მოითხოვს. მაინშოსის ამხანაგობის წესდებით გამგეობის თითქმის ყველა უფლება თავმჯდომარეს აქვს გადაცემული. — იტალიის ამხანაგობებში გამგეობის თავმჯდომარე წარმომადგენელია ამხანაგობისა და სისრულეში მოჰყავს ყველა გადაწყვეტილება გამგეობისა.

იტალიის იმ ამხანაგობებში, რომლებშიაც ნამდვილ წვერთა გარდა დამხმარე წვერებიც არიან, საქმეებს აწარმოებენ შემდეგნი დაწესებულებანი: 1) ადმინისტრაციული საბჭო, 2) ტენიკის დირექტორი და 3) ხაზინადარი. ადმინისტრაციულ საბჭოში შედიან მხოლოდ ნამდვილი წვერები.



საბჭო ორი წლის ვადით ირჩევს თავისი წრიდან თავმჯდომარესა და ხაზინადარს, ჰნიშვანს ტეხნიკის დირექტორს და მთელს სადამინისტრაციო პერსონალსა. იკრიბება იგი თითქმის ყოველ თვეში ერთხელ. ტეხნიკის დირექტორი და ხაზინადარი ესწრებიან საბჭოს კრებაზე და აქვსთ მხოლოდ მრჩეველთა ხმა. თუ შესაძლებელი არ არის დაუყოვნებლივ შეჭრიბონ მთელი საბჭო, თავმჯდომარეს ხაზინადარს, ორს წევრსა და ტეხნიკის დირექტორს უფლება აქვსთ მიიღონ და აღასრულონ საჭირო გადაწყვეტილებანი.—საბჭო ირჩევს თავის წრიდან სამს რევიზორს.—თავმჯდომარე წარმომადგენელია ამხანაგობის, ხაზინადარი აწარმოებს ანგარიშებსა და ჩაბარებული აქვს კასსა, ტეხნიკის დირექტორი კი მოწვეულ სპეციალისტ მეღვინეთა დახმარებით უძღვება საქმის ტეხნიკურ დარვსა და პასუხს აგებს ღვინის რიგიან წარმოებისა და შენახვის საქმეში.

საზოგადო კრებანი შესდგებიან ამხანაგობათა ყველა წევრთაგან (სრულწლოვანნი მამაკაცი). საზოგადო კრებებს იწვევენ წილიწადში ორჯერ მაინც. საზოგადო კრების თავმჯდომარედაც გამგეობის თავმჯდომარეა. გადაწყვეტილება გამოაქვსთ ხან უბრალო ხმის უმეტესობით, ხან კიდევ 2/3 ხმის უმეტესობით. თვითო წევრს თვითო ხმა აქვს. სარევიზიო კამისსია შესდგება ვქვსი წევრისაგან, რომლებიც თავის წრიდან თვითონვე ირჩევენ თავმჯდომარესა და მის ამხანაგს. კომისსია იკრიბება თვეში ერთხელ (მაინშოსსის წესდებით), ან ერთხელ სამ თვეში (ნეივიდის წესდებით). ზოგიერთ ამხანაგობაში ზოგიერთი კითხვა,—ყურძნის ყიდვა და ღვინის ფასების დანიშვნა, ხელ-შეკრულებათა დამტკიცება, გამგეობისათვისა და სარევიზიო კომისსიისათვის ინსტრუქციათა შემუშავება, სასამართლო საქმეების წაყვანა,—სწყდება ხოლმე გამგეობისა და სარევიზიო კომისსის შეერთებულ სხდომაზედა. გამგეობის თავმჯდომარის წინადადებით, საზოგადო კრება საერთო დასკვნათათვის, ღვინისა და ყურძნის გამოსაცდელად და საკლასიფიკაციოდ, აგრეთვე ფასების გამოსაკვლევად, ირჩევს გამოსაცდელ კომისსიის სამს წევრს. ზოგიერთ ამხანაგობაში ასეთ კომისსიებში შედიან გამგეობის თავმჯდომარე და სარდაფების გამგეები.

ავსტრიის ამხანაგობებში ღვინისა და ყურძნის ფასებს განსაზღვრავენ გამგეობა და გამგეობის სარევიზიო კომისსია. მათ აქვსთ აგრეთვე უფლება ყურძნის ფასის განსაზღვრავად მოიწვიონ სპეციალისტთა განსაკუთრებული კომისსია, რომელნიც შეიძლება არ იყვნენ წევრნი ამხანაგობისა.

საზოგადო კრებებს უფლება აქვს უფრო დაწვერილებითი ინსტრუქციები შეიმუშავოს ღვინისა და ყურძნის ფასების განსაზღვრისა.

გამომცდელ კომისსიათა დასკვნის საფუძველ-


ზედ სდგანან, როდესაც შეერთებული კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისსია განსაზღვრავენ ხოლმე ღვინისა და ყურძნის ფასებს.

მბრუნავი კაპიტალი. ავსტრიის ამხანაგობებში საწევრო ფულის რაოდენობას განსაზღვრავს საზოგადო კრება. ამ კაპიტალის შესაკრებად წევრებს უჭირენ ყოველ წლივ პირველ ათის წლის განმავლობაში მოტანილ ყურძნის ღირებულების 5%-ს. თუ ამ ათი წლის განმავლობაში არ შესდგა დადგენილი რაოდენობა საწევრო სუმიისა, მაშინ ისევე განაგრძობენ 5% გამოარიცხვას მოტანილ ყურძნის ღირებულებიდან.

მოგება და წაგება. წაგება და მოგება, მას შემდეგ როცა რამოდენიმე პროცენტის (10%—50%) სათადარიგო კაპიტალში გადაარიცხვის ოპერაციას მოხდენენ, გერმანიის ამხანაგობებში ნაწილდება წევრთა შორის პროპორციონალურად უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მოტანილ ყურძნის ღირებულებისა, იტალიის ამხანაგობებში—პროპორციონალურად ერთი წლის განმავლობაში მოტანილ ღვინის ღირებულებისა, ავსტრიაში კი—პროპორციონალურად შეტანილ საწევრო ფულისა.

ამ მოკლე განხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ უმთავრესს მუხლებს, რომლებიც საჭიროა მეღვინეობის კოოპერაციათა ორგანიზაციისათვის:

1. რაიონი კოოპერაციის მოქმედებისა არის სოფლის საზოგადოების ტერიტორია, ე. ი. სოფელი; ან და ჯგუფი ერთი-მეორეზედ ახლო მდებარე პატარა სოფელთა.
2. მონაწილეებად შეიძლება იყვნენ ისინი, ვინც პირადად არიან დაინტერესებულნი საქმეში, ე. ი. ვენახის მესაკუთრენი და არენდატორები.
3. ყველა წევრი ნივთიერად პასუხისმგებელია ამხანაგობის ყველა ვალდებულებათა აღსრულების დროსა. უმეტეს შემთხვევაში განუსაზღვრელი პასუხის-მგებლობაა დაწესებული, ე. ი. ყოველი წევრი პასუხის-მგებელია მთელის თავისის ქონებითა.
4. პირადი მონაწილეობა წევრების საქმეების წარმოებაში, საზოგადო კრებათა შემწეობით, ამასთანავე ყველა წევრი სწორ-უფლებიანია.
5. წევრის ვალდებულებაა გადასცეს ამხანაგობას მთელი თავისი მოსავალი ყურძნისა ან ღვინისა.—ეს ვალდებულება და აგრეთვე ნივთიერი პასუხის-მგებლობა წევრთა დიდს კრედიტს უზოვეებს ამხანაგობასა.—მეორე მხრით, მონაწილეებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ნივთიერად ამხანაგობის საქმითა, ეს საქმე თავის საკუთარ საქმედ მიაჩნიათ და ძალ-ღონეს არა ზოგავენ მის სავითარებლად.
6. ამხანაგობანი თავის განკარგულებაში იღებენ ყველა ღვინოებს რთვლიდან დაწყებული მა-



ნამდის, სანამ ღვინო გასასყიდათ გამოვიდოდნენ, და თუ სხვა ორგანიზაციები არ არის, გასყიდვის საქმესაც აწყობენ. მრავალ წლის გამოცდილებამ დაარწმუნა ყველა, რომ ასეთნაირად მოწყობილი კოოპერაციები მკვიდრია, ცხოველ-მყოფელი და ეთანხმება საზოგადოდ სასოფლო მეურნეობის პირობებსა. მაგრამ იმავე პრაქტიკამ მისი სუსტი მხარეც ნათელ-ჰყო: კოოპერაციებმა ვერ მოაწყვეს ღვინის გაყიდვას, საქმეს ვერ გაუწიეს კონკურენცია მსხვილ კაპიტალს, რომელიც რაც დრო გადის, მით უფრო ხელთ იპყრობს მთელს ღვინის ვაჭრობასა. მაგრამ ეხლა ამხანაგობებმა კავშირებად იწყეს შეერთება, რომ მიეღოთ ხასიათი მსხვილ სავაჭრო-სამრეწ-

ველო ორგანიზაციათა, და იმედია, რომ მალე აქაც გამარჯვებული დარჩება კოოპერატიული პრინციპი. საიდან შოულობენ საშუალებასა, სახსარსა მეღვინეთა კოოპერაციები?—დასავლეთ ევროპაში ეს საკითხი უბრალოდ წყდება: საშუალებას იძლევა საკრედიტო კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებსაც ფართოდ აქვს განვითარებული თავიანთი მოქმედება და რომლებიც ყოველთვის ხელი-ჩაკიდებული მიდიან სხვა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციებთან ერთად.

სვ. ვახვახიშვილი.

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი სვ. ყიფიანი.

ს ა უ კ ე თ ე ს ო უ ა ვ ა ხ ა ნ ა

„პარიზი“

(სასახლის ქუჩა, ქარ. თავ დ-ახნ. სახლი, № 5, თეატრის ქვემო სართულში).

ყავა, ჩაი, რძე, კაკაო, შოკოლადი, კვერცხი, კარაქი, პიროგი, ხაჭაპური და სხ. ათასნაირი ცხელი და ცივი საჭმელი და ლუდი.

სადილი და ვახშამი

ჩვენებური და ევროპიული საჭმელი, მომზადებული კარგის ერბოთი; დახელოვნებული მზარეული.

ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომია. სამი თავი ლუდით ან ყავით 70 კ., ორი თავი ლუდით — 50 კ.

(წლ.—5.—5)

ზატევისცემით ა. კალატოზიშვილი

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში ახალი წიგნი:

კვალნი საქართველო.

ტომი I.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, გამცემული ექვ. თაყაიშვილის რედაქტორებით.

ეს წიგნი უფასოდ დაეთმობათ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანათ 1909 წელს საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთ წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ, შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოებაში, ხოლო ქალაქს გარედ მცხოვრებთ წიგნი ფასტით გაეგზავნებათ. (3 - უ - 2)